გაზეთი ზევრიას, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

№29 (1571) 18 - 24 აგვისტო ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

მკვლელობა აბაზანაში

ვინ არის მაღალჩინოსანი, რომელმაც ახალგაზრდა ქალს ცხოვრება დაუნგრია

ვახტანგ მაისაია: „არავის ვაშინებ, მაგრამ“...

რა საფრთხე გვემუქრება „თალიბანისგან“ და როგორ აისახება ავღანეთის მოვლენები საქართველოზე

როგორ აპირებს ოპოზიცია ეკონომიკის აღორძინებას — „ვერსიის“ ექსპერიმენტი

„გირჩი – მეტი თავისუფლების“, „ლეიბორისტებისა“ და ევროპული საქართველოს სამი ძირითადი ეკონომიკური გზავნილი

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

გიგა ბოკერიას ისტერია და ვნებები

ვინ „კრიშავს“ აშშ-ში და რა ბრალდებას უყენებენ ოპოზიციაში ევროპული საქართველოს ლიდერს

ვახტანგ გომელაურმა თუშეთში, სოფელ ომალოში, პოლიციის ახალი შენობა გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა თუშეთში, სოფელ ომალოში, პოლიციის ახალი შენობა გახსნა. ღონისძიებას მინისტრის მოადგილეები, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ომალოს პოლიციის შენობის მშენებლობა საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში განხორციელდა. შენობა სრულად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონის პირობებს და აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

ამ დრომდე, თუშეთის სოფელ ომალოში, პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივი დანაყოფის შენობა არ არსებობდა. ტურისტულ სეზონზე, საჭიროების შემთხვევაში, მაშველებს ახმეტის მუნიციპალიტეტში განთავსებული დანაყოფიდან იძახებდნენ.

ახალ შენობაში, პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები იმუშავებენ.

სამუშაო სივრცის გარდა, ომალოს პოლიციის შენობაში განთავსებულია დასაკითხი, ამოსაცნობი, იარაღის შესანახი და ნივთმტკიცების საცავი ოთახები. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ახალი შენობის დათვალიერების შემდეგ, ვახტანგ გომელაური თუშეთში მომუშავე თანამშრომლებს შეხვდა და მათ სამუშაო პირობებს დეტალურად გაეცნო. შინაგან საქმეთა მინისტრი ომალოში, სახელმწიფო საზღვრის ომალოს სექტორის დასაცავ მონაკვეთზე მყოფ მესაზღვრეებს გაესაუბრა. მინისტრმა მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის და სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის მესაზღვრეების, პოლიციელებისა და მეხანძრე-მაშველის საქმიანობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უწყვეტ რეჟიმში გრძელდება

ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების მასობრივი აცრის პროცესი, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით, აქტიურად გრძელდება, როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში არსებულ იმუნიზაციის ცენტრებში.

„თბილისის ზღვის პლაზაში“ გახსნილ იმუნიზაციის ცენტრში, ამჯერად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ვაქცინაცია.

თბილისსა და რეგიონებში, იმუნიზაციის ცენტრებში მოწყობილია ვაქცინაციის კაბინეტები, რომლებიც შესაბამისი სამედიცინო საშუალებებითაა აღჭურვილი, რაც უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესისა და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ, კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან „ფაიზერის“, „სინოვაკის“ ან „სინოფარმის“ ვაქცინებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, სამინისტროს თანამშრომლების ნახევარზე მეტი უკვე ვაქცინირებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 20 ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 20 ნარკორეალიზატორი დააკავა, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ ბრიფინგზე განაცხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში, ასევე, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ნარკორეალიზატორები დააკავეს.

სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის, იმერეთის, აჭარისა და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღებისა და ჯგუფურად ჩადენილი გასაღების მცდელობის ბრალდებით, 20 პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1969 წელს დაბადებული მ.ჭ., 1976 წელს დაბადებული ჯ.ხ., 1988 წელს დაბადებულ გ.გ., 1981 წელს დაბადებული ს.ს., 1996 წელს დაბადებული გ.კ., 1957 წელს დაბადებული ბ.ა., 1965 წელს დაბადებული ჯ.ი., 1993 წელს დაბადებული ლ.გ., 2001 წელს დაბადებული ვ.მ., 1956 წელს დაბადებული ი.ხ., 1961 წელს დაბადებული რ.ა., 1996 წელს დაბადებული ფ.გ., 1966 წელს დაბადებული ხ.ა., 1983 წელს დაბადებულ ე.ლ., 1980 წელს დაბადებული რ.კ., 1987 წელს დაბადებული ჯ.ა. და 1972 წელს დაბადებული ბ.მ., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები – 1989 წელს დაბადებულ ე.გ., 1990 წელს დაბადებულ ი.კ. და 1990 წელს დაბადებული ჯ.მ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციის მიერ დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები, სოციალურ ქსელში არსებული ნარკორეალიზატორთა ორგანიზებული ჯგუფის კურიერები იყვნენ. ისინი ნარკოტიკულ საშუალებებს თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე, უკანონო რეალიზაციის მიზნით ათავსებდნენ და ასაღებდნენ.

სამართალდამცველებმა, მათი პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

პოლიციის მიერ ნივთმტკიცების სახით ამოღებულია: 1 ლიტრი და 952 გრამი „ამფეტამინის“ შემცველი სითხე, 50 გრამი „ამფეტამინის“ შემცველი ფხვნილი, 15 გრამამდე „მდმა“-ს შემცველი ნივთიერება და 200 გრამამდე „კოკაინის“ შემცველი ნივთიერება.

ქვემო ქართლის პოლიციამ, ბრალდებული ჯ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 2 კილომდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღო. აჭარის პოლიციამ კი, ბრალდებული ბ.მ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 50 აბი.

იმერეთის პოლიციის მიერ ერთ-ერთი დაკავებულის – რ.კ.-ის საცხოვრებელი სახლიდან ნივთმტკიცებად ამოღებულია უკანონოდ შეძენილი, „STALKER 2918-UK“-ის მოდელის პისტოლეტი.

ნარკოდანაშაულებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გიგა ბოკერიას ისტერია და ვნებები

ნინო დოლიძე

ვინ „კრიშავს“ აშშ-ში და რა ბრალდებას უყენებენ ოპოზიციაში ევროპული საქართველოს ლიდერს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ევროპული საქართველოს ლიდერი გიგა ბოკერია, შესაძლოა, ოპოზიციის მთავარ მტრად იქნას გამოცხადებული. ყოველ შემთხვევაში, „ანტიოცნებელების“ ის ფრთა, რომელიც ენმ-ს გარშემოა გამაგრებული, დაბეჯითებით აცხადებს, რომ ბოკერიას ოპოზიციური ერთობის ჩაშლა უნდა და მერკანტილური მიზნით მოქმედებს. ევროპული საქართველოს ლიდერს ყველაზე მწვავედ პარტია „კანონი და სამართლის“ თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატი თაკო ჩარკვიანი უპირისპირდება.

„ახლა ვუსმენ „ტვ პირველზე“ ბოკერიას! სრულიად Facebook-სამეგობროს და საქართველოს გასაგონად ვამბობ!

მე, თამარ ჩარკვიანი, არსად არ ვაყენებ ჩემს კანდიდატურას, არც დამდგარა ეს საკითხი – არა! არა! არა!!! რადგან ვარ დეპუტატი საკანონმდებლო ორგანოში! ვასრულებ პატიოსნად შეთანხმებას და რეგიონებში, თბილისში, მაქსიმალურად ვეხმარები და მხარს ვუჭერ ნიკა მელიას, გაერთიანებულ ოპოზიციას.

ახლა ვუსმენ „ტვ პირველზე“ „ბოკერიას ვნებებს“ – ამ მრავალწლიან, არაერთხელ „დამშლელს“ პროცესისა.

მე ამ პროცესში, უბრალოდ, მხარი დავუჭირე დავით ჭიჭინაძის კანდიდატურას, რაც შედიოდა და წაადგებოდა კოალიციურ შეთანხმებას, რადგან ჩვენ მრავალფეროვანი ამომრჩეველი გვჭირდება კოალიციისთვის, თუ მართლა კოალიცია გვინდა, რასაც მოჰყვა გიგა ბოკერიას „ისტერია“ და პოლიტიკური შანტაჟი, რომ იგი დატოვებდა პოლიტიკურ გაერთიანებას...

ეს პოლიტიკური, მრავალწლიანი პოლიტშანტაჟი.

თუ ვერ ხვდებით „ზოგიერთები“, რა პროცესია და რას ემსახურება და რომ ეს არის ზუსტად ის, რასაც მუდმივ მარცხთან მიჰყავს ხოლმე თითქმის გამარჯვებული პროცესი, ან გულუბრყვილობაა, ან „ზოგიერთთან“ გარიგება. ხალხი – ამომრჩეველი კოალიციას ელოდება, რომელმაც სამართლებრივი რეფორმები უნდა მოიტანოს და კიდევ, მე ის მაღელვებს, რომ ოპოზიცია ცხვირში მიიღებს „მუშტს“ და ეს მუშტი საქართველოს მოხვდება მორიგ ჯერზე, თორემ „ზოგიერთები“, უკვე დიდი ხანია, აღარ მაინტერესებს!

რეფერენდუმი-თქო, ვთქვით! ჰოდა, ვერ ხედავენ ადამიანები ჯერჯერობით რეფერენდუმს, „ბოკერიას ვნებებს“ ხედავენ, ინიციატორი ვარო, ბოკერიამ ტელეეკრანიდან – თბილისის ხედიდან გამოგვიცხადა!

თბილისში დათმო ნაცმოძრაობამ მაჟორიტარები, ჰო? ჰოდა, დალოცვილებო, თქვენც გაშალეთ, მრავალფეროვანი გახადეთ რაიონები.

მე მართლა არ მეგულება ჩემს გარშემო ამომრჩეველი ბოკერიას ინიციატივას და, საერთოდ, მაჩვენეთ კვლევა რომელიმე, სადაც გააქტიურებულ ბოკერიას მიესალმება ამომრჩეველი (რომელმაც ჯერ „ნაცმოძრაობა“ გაგლიჯა, იმ პარტიის დივიდენდებით შევიდა პარლამენტში, უშიშროების საბჭოს ფრიად ოდიოზური მდივანი იყო, ახლა საკუთარი პარტიაც კი ჩამოიმხო თავზე), მაჩვენეთ ამომრჩეველი, ვინც ამ პოლიტიკოსის გააქტიურებას მიესალმება ქალაქ თბილისში და ქვეყანაში! ჰოდა, რაღა ამ ტიპის პოლიტიკოსის გააქტიურებულ „ფეისს“ „ვატენით“ ხალხს, ვერ ვხვდები?!

რაც შეეხება მრავალწლიან სულელურ ფრაზას – „ახლა ამის დრო არ არის“, სწორედ ამის საპასუხოდ მინდა ვთქვა: აბა, როდის არის დრო? როცა ამ მცდარი სქემით და ზოგიერთის მომხვეჭელობით, მარცხი დადგება და თან უკვე მერამდენედ?! ახლა, ზუსტად ახლა უნდა ითქვას!

ერთში „ვეთანხმები“ ბოკერიას, რომ მხოლოდ ის არ არის მარტო, ამ სქემაში ჰყავს რამდენიმე „ბრძენი“ თანამოაზრე! ცუდია! ძალიან სარისკო და ძალიან ცუდი! ცუდად, უდროოდ ვრისკავთ, უდროოდ“, – დაწერა რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში, თაკო ჩარკვიანმა.

ზოგადად, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ბოკერია ღალატშია ეჭვმიტანილი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იგივე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ალბათ, თვით მიხეილ სააკაშვილიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ძველი „ძმაკაცი“ უღალატებდა, მაგრამ მაშინ ბოკერიამ ენმ, ლამის, დაშლის პირას მიიყვანა, თუმცა ყველაფერ ამის მიუხედავად და იმის გათვალისწინებითაც, რომ ბოკერიას პოლიტიკური გუნდი, პრაქტიკულად, არ ჰყავს, ის ქართული პოლიტიკის ავანსცენაზე მაინც ტივტივებს. ამას კი ექსპერტები იმით ხსნიან, რომ ბოკერიას აშშ-ში „დიდი ზურგი“ აქვს.

... ვიდრე პოლიტიკოსი გახდებოდა, გიგა ბოკერია სამოქალაქო აქტივისტი იყო და ერთხანობა, ჟურნალისტობდა კიდეც – გადაცემები „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ „მეორე არხსა“ და ერთხანობა, „რუსთავი 2“-ზე მიჰყავდა. მერე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მთავარ სახედ მოგვევლინა. ბოკერიასა და ქართველი თუ ამერიკელი რესპუბლიკელების, უტრირებულად რომ ვთქვათ, „ლავ სთორი“ მათთვის, ვინც ქართული პოლიტიკის ლაბირინთებში კარგად ერკვევა, უცხო არაა და სწორედ ეს ადამიანები ამტკიცებენ, რომ გიგა ბოკერია, იმთავითვე, ამერიკული რესპუბლიკური პარტიის ე.წ. ნეოლიბერალური ფრთის პროექტი და ამერიკული სამხედრო დაზვერვის რეზიდენტია, რომელიც სააკაშვილთან, რომლის რუსულ გავლენებზე ინფორმაცია არაერთხელ გავრცელებულა, მიზანმიმართულად შეაგზავნეს. შესაძლოა, ბოკერიას ბიოგრაფიაში, ეს ყველაზე კონსპირაციული ვერსიაა...

ასეა თუ ისე, ყველაზე იდუმალებით მოცული ბოკერიას ამერიკული კავშირებია. რასაკვირველია, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ ის, მართლაც, თეთრი სახლის საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობს, მაგრამ 2014-ში, ერთმა ქართველმა სპეცსამსახურელმა კონკრეტული ამერიკელი დაასახელა – ბრიუს ჯექსონი და ლამის, ასპროცენტიანი სიზუსტით თქვა, ბოკერიას მფარველი, სწორედ ჯექსონიაო. ჯექსონი აშშ-ს სამხედრო დაზვერვის ოფიცერია, მამამისი კი „სი-აი-ეს“-ის თანადამფუძნებელი იყო...

„მთელ ამ რევოლუციურ პერიოდში ანუ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაში, ცენტრალური ფიგურა, სწორედ გიგა ბოკერია იყო. ისე, რევოლუცია, ვარდებისას დაარქმევ, ტიტებისას თუ ნარინჯისფერს, სახელმწიფო გადატრიალების ერთერთი ფორმაა. საერთოდ, სახელმწიფო გადატრიალების სამი ფორმა არსებობს – სამხედრო, რევოლუციური და ე.წ. მცოცავი... უცხო ქვეყნების ჩარევის გარეშე, რევოლუციის მომწიფება, უბრალოდ, შეუძლებელია, რადგან რევოლუციას მხოლოდ დიდი ფული კი არა, შესაბამისი ადამიანური რესურსი და მომზადებაც სჭირდება... კარგად მახსოვს, 2005 წელს, სლოვაკეთში, კერძოდ, ბრატისლავაში ბუშის ვიზიტი. ამ ვიზიტზე დასასწრებად საქართველოდან ორი ფიგურა – გიგა ბოკერია და თინა ხიდაშელი იყვნენ მიწვეულნი. შეხვედრა ღია ცის ქვეშ გაიმართა, ბუში სიტყვით გამოვიდა და ქართული რევოლუციის ახალგაზრდა ლიდერები წინა პლანზე ისხდნენ. ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა, თუ რა დამსახურებისთვის მიიწვიეს ბუშის ამ ვიზიტზე ის ფიგურები, რომლებიც ქართული საზოგადოებისთვის მაინცდამაინც ავტორიტეტებად არ ითვლებიან. ამ თემის შესწავლა უსაფრთხოების საკითხების ექსპერტებმა დაიწყეს და მეც, როგორც ჩემი საქმის პროფესიონალი, დავინტერესდი. სხვათა შორის, რევოლუციური პროცესი, თავდაპირველად, სერბეთში, მილოშევიჩის წინააღმდეგ განვითარდა, რასაც სისხლისღვრა და მილოშევიჩის გასამართლება მოჰყვა. სერბეთიდან რევოლუციურმა ტალღამ სლოვაკეთში, საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში გადაინაცვლა...

დანამდვილებით ვიცი, რომ ბოკერიას რუსულ სპეცსამსახურებთან შეხება არ აქვს. ამასთან, შემიძლია, იმ ადამიანის ვინაობაც გითხრათ, ვის დავალებებსაც ბოკერია ასრულებს – ბრიუს ჯექსონი, რომელიც აშშ-ს სამხედრო დაზვერვის ოფიცერია და მხოლოდ აშშ-ში კი არა, სხვა ქვეყნებშიც ძალიან გავლენიანი ფიგურაა... ყველა ამ რევოლუციის ავტორი, სწორედ ბრიუს ჯექსონია. დოქტრინა კი, რომელსაც რევოლუციონერები ახორციელებდნენ, პროფესორ შორტს ეკუთვნის, რომელიც „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ სათავო ოფისში გავლენიანი ფიგურაა და რომელმაც დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელოს – „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“ შექმნას ორმოცი წელი მოანდომა... ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ბრიუს ჯექსონმა გიგა ბოკერია, ალბათ, სოროსის დახმარებით გაიცნო“, – უთხრა რამდენიმე წლის წინ „ვერსიას“ ერთ-ერთმა ქართველმა ყოფილმა სპეცსამსახურელმა.

ერთი სიტყვით, გოგა ბოკერია, შეიძლება, „ერთი კაცის პოლიტიკური შოუა“, მაგრამ რაც უნდა იყოს, მას ქართულ პოლიტიკაში „პარადი“ მაინც მიჰყავს.

რატომ? – ამ კითხვაზე პასუხი ყველაფერ ზემოთქმულიდან, მეტ-ნაკლებად, გაცემულია...

„წვერიც ამომივა და გავიზრდები“ – ვინ არის 24 წლის ცოტნე კობერიძე და რატომ უნდა თბილისის ვიცე-მერობა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

პარტიამ „გირჩი – მეტი თავისუფლება“, თბილისის ვიცე-მერობის კანდიდატურა პრაიმერით გამოავლინა და ის ცოტნე კობერიძემ მოიგო, რომელიც იმედა კლდიაშვილს უპირისპირდებოდა. ოპოზიციის ნაწილმა თბილისის მერობის კანდიდატად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, ნიკა მელია დაასახელა, საკრებულოს თავმჯდომაროების კანდიდატად კი – ელენე ხოშტარია. ასაკის გამო, ცოტნე კობერიძის ვიცე-მერობის კანდიდატად დასახელებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, 24 წლის ბიჭს გამოცდილება არ აქვს და ვიცე-მერობას ვერ შეძლებსო. არადა, მუდმივად ამბობენ, რომ პოლიტიკაში ახალგაზრდებს უნდა დაუთმონ ასპარეზი... „ვერსია“ ცოტნე კობერიძეს ესაუბრა.

> „ზოგი ისეთი პოლიტიკოსი მაკრიტიკებს, რომელიც ვითომ მემეგობრებოდა, მაგრამ საკუთარ თანაგუნდელებსაც კი გასწირავს ძალაუფლებისთვის“

– ცოტნე, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა პარტიებმაც გამოიყენონ პრაიმერის გზა კანდიდატების შესარჩევად?

– ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როცა კანდიდატი საპასუხისმგებლო საქმიანობას ეჭიდება, უნდა გრძნობდეს ლეგიტიმაციას. თუ ექნება განცდა, რომ ვიღაცის კეთილი ნების გამო გახდა კანდიდატი, ვერასდროს იქნება სრულფასოვანი და თავდაჯერებული. როცა პრაიმერის გზით ხდება შერჩევა, ადამიანები გრძნობენ საკუთარ ჩართულობას პარტიაში და პოლიტიკასაც განსხვავებულად უყურებენ, თავადაც გრძნობენ ანგარიშვალდებულებას. ამ კუთხით, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ არის პარტია, სადაც მხარდამჭერები ძალიან მარტივად ხდებიან პარტიის პოლიტიკოსები და იდეის გამავრცელებლები. თითქოს, ყველას გვადარდებს ყველაფერი და ვისაც რა შეგვიძლია, იმ ინვესტიციას ვდებთ ამ პარტიაში. ამ მხრივ, გადაწყვეტილების მიმღებია ყველა, ვინც საკუთარ ენერგიას დებს.

ვიცოდი, როცა ვიცე-მერობის კანდიდატი გავხდებოდი, დიდი ნეგატივი წამოვიდოდა ასაკისა და ბევრი სხვა მიზეზის გამო, მაგრამ ყველაფერ ამას, პრაიმერის გარეშე რომ შევხვედროდი, გაცილებით გამირთულდებოდა. ახლა კი ვიცი, რომ ეს კონკრეტულად , „გირჩი–მეტი თავისუფლების“ კვოტა იყო და ეს საკითხი პარტიამ მე მანდო. ამიტომ სრული უფლება მაქვს, თამამად განვაცხადო, რომ ეს სტატუსი მეკუთვნის და მოვიპოვე პრაიმერის გზით, ჩემმა მხარდამჭერებმა გადმომცეს ეს პასუხისმგებლობა. ამ კუთხით, პოლიტიკოსისთვისაც მნიშვნელოვანია პრაიმერის გზით შერჩევა და პარტიის წევრებისთვისაც.

- თქვენი ასაკი, მართლაც, განხილვის საგანი გახდა ოპოზიციურ წრეებში... მიამბეთ თქვენ შესახებ, რა სახის განათლება და გამოცდილება გაქვთ?

- განათლებით პოლიტიკის მეცნიერი ვარ, ვსწავლობ და მიყვარს ეს პროფესია. გირჩში 2016 წლიდან ვარ. ჯერ მხოლოდ მხარდამჭერი ვიყავი, შემდეგ – კოორდინატორი, ბოლოს ბლოგებს ვწერდი და დავაფუძნე „გირჩი ტვ“ – ამ არხზე წამყვანი ვიყავი. მოგვიანებით, პოლიტიკური გადაცემის ავტორი და წამყვანი გავხდი და მთელ ოპოზიციურ სპექტრს ვესაუბრებოდი. მერე, პარტიის სპიკერობამაც მომიწია. ჩემს ასაკსა და ჰაბიტუსთან მიმართებაში, ყოველთვის ზერელე დამოკიდებულება იყო ხოლმე. ამას მიჩვეული ვარ და პირიქით, უფრო მსიამოვნებდა, როცა კონტრასტს დაინახავდნენ და მეუბნებოდნენ, ცოტა სკეპტიკურად გიყურებდითო! ეს ისეთ სიამოვნებას მანიჭებდა, რომ ნეგატივი აღარ მაზიანებდა. ახლაც, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, სრულად გააზრებული მქონდა და ვიცოდი, რომ ხშირად კი ამბობენ, ახალგაზრდები გვინდა პოლიტიკაშიო, მაგრამ, სინამდვილეში, არ უნდათ... მესმის და იმ ადამიანების კრიტიკას არ დავიწყებ, ვისაც ზურა ჯაფარიძე უნდოდა, მათთვის შესაფერისი იყო (ოპოზიციას ვგულისხმობ, თორემ ხელისუფლება ისედაც ყველაფერს ეძებს ადამიანის დასაბულინგებლად)... ოპოზიციის შემთხვევაშიც მესმის, შეიძლება, სხვა უნდოდეს, მაგრამ რას ვიზამთ, ამ კუთხით, თავდაჯერება არ მაკლია. ასაკის გამო თუ გამაკრიტიკებენ, ნაკლებად შემაწუხებს, მთავარია, იმის გამო არ გამაკრიტიკონ, რასაც ვამბობ. წვერიც ამომივა და გავიზრდები, ეს გარდაუვალი ამბავია, მაგრამ თუ ჩემი იდეა არ მოსწონთ, ამას ვერანაირიად შევცვლი.

– როგორ ფიქრობთ, ეს ერთგვარი კომპლექსი ხომ არაა, რომ პოლიტიკაში დოგმებს აწესებენ და აბსურდული არგუმენტები მოჰყავთ, თუ რატომ არ შეიძლება, 24 წლის ადამიანი ვიცე-მერი იყოს?

– ბევრნაირი ამბავი შეიძლება იყოს – ვიღაცისთვის კომპლექსი, ვიღაცისთვის გულწრფელი დამოკიდებულება. გამოცდილება არ ექნებაო, ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც არ მიცნობენ. არ მიკვირს, რომ წინასწარ ასეთ შეფასებებს აკეთებენ. ბევრი რამის გამო აკრიტიკებენ ხოლმე ადამიანებს – პროვინციალიზმის, დედაქალაქელობის გამო. ასეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, მაგრამ გულთან ახლოს არ უნდა მივიტანოთ. ზოგი ისეთი პოლიტიკოსი მაკრიტიკებდა, რომელიც როცა მხედავს, მიღიმის და ვითომ მემეგობრება, მაგრამ ვიცი, რომ საკუთარ თანაგუნდელებსაც კი გასწირავს ძალაუფლებისთვის და გირჩის პოლიტიკოსისთვისაც „კბილის გაკვრა“ არ იქნება მისთვის უხერხულობა. პოლიტიკა ეგეთი სფეროა, როცა საქმე ძალაუფლებას ეხება, ადამიანები ბევრ რამეს კადრულობენ...

– ცოტნე, გასაგებია, რომ გირჩში აქტიურ პოლიტიკას ეწევით, მაგრამ ვიცე-მერობა უკვე ამბიციური განაცხადია და რადგანაც პოლიტიკის ავ-კარგიანობაზე ჩამოვარდა საუბარი, გკითხავთ, მზად ხართ, ამ ასაკში, „ბინძურ“ პოლიტიკაში თავით გადაეშვათ?

– როცა გირჩში მივედი, მუდმივად ვყოფილვარ ასეთი კრიტიკის ობიექტი, ზოგჯერ ცუდი ფორმითაც, მაგრამ მივეჩვიე. ძალიან თვითმყოფადი ვარ ამ კუთხით და იმის მიხედვით ვწყვეტ, ჩემს თავთან, რამდენად ვარ მართალი და სწორი. ასეთ საქმეში რადგან შევდივარ, იმედი მაქვს, შევინარჩუნებ თვითმყოფადობას, გარემოს ვაკვირდები და ბევრს ვფიქრობ, წინასწარვე ვამზადებ თავს ფსიქოლოგიურად. ერთადერთი რამ მანერვიულებს – ეს განსხვავებული ტიპის პოლიტიკური არჩევნებია და ვიცე-მერობის კანდიდატს მოუწევს დუალისტურად მიდგომა ქალაქის პრობლემებსა და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ მოვლენებზე. მოგების შემთხვევაში, ჩემთვის გამოწვევა იქნება ვიცე-მერის თანამდებობაზე საქმიანობისას, კონკრეტულ უწყებებთან რაღაცების „დალაგება“. უამრავი ადამიანი გამოჩნდება, ვისაც ინტერესი ექნება, მაგრამ ჩემგან თანხმობას ვერ მიიღებს და ამისთვის ყველანაირად ვემზადები. მიჩვეული ვარ თვითგანვითარებას და ჩემმა გადაცემამ ერთი რამ მასწავლა – ბევრი ადამიანი მოდიოდა საკმაოდ დიდი ამბიციით, საკუთარი თავი პრემიერ-მინისტრად წარმოედგინა, მაგრამ რომ ჩავუღრმავდებოდი ხოლმე, ვერაფერს ვნახულობდი ღირებულს. ყველაფერმა ამან, თვითდაჯერებული გამხადა, რომ თუ საკუთარ თავზე იმუშავებ, შეუძლებელი არაფერია. ჩემთვის მთავარი იდეებია...

– მოდით, მაშინ, თქვენი იდეების შესახებაც მიამბეთ... დედაქალაქში, პირველ რიგში, რომელ პრობლემას მოაგვარებდით?

– დედაქალაქშიც და მუნიციპალიტეტებშიც პრობლემა გაჭირვებაა და ადამიანებს არც აინტერესებთ თვითმმართველობის არჩევნები, რადგან ვერ ხვდებიან, ამ არჩევნებით რამდენად შეგვიძლია გავიუმჯობესოთ ის, რაც გვაწუხებს. მინდა, მათ ვუთხრა, რომ მერის არჩევნები, ლეგიტიმაციის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი არჩევნებია, რადგან საკუთარი ლეგიტიმაციით, მერს შეუძლია, შეცვალოს პოლიტიკური ლანდშაფტი. ამ კუთხით, ჩვენი ხედვა არის „მცირე სახელმწიფოს კონცეფცია“. იმის გამო, რომ მუდმივად გვადარდებს, რა ცუდი ხალხი გვმართავს, მომავალში, ამისგან თავის დასაზღვევად ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ ცოტა რამ დავტოვოთ სამართავი და ჩვენი პასუხისმგებლობა გავზარდოთ. მათი სამართავი იყოს ცოტა, ჩვენ კი გვქონდეს ცხოვრების, გადაწყვეტილების მიღების საშულება, ამისთვის საჭიროა, რომ სახელმწიფო იყოს მცირე და იყოს შეზღუდული გადასახადების დაწესებაში, სასამართლოს კონტროლის საკითხში. საკუთრებები უნდა არსებობდეს ჩვენს ხელში და არა მათ ხელში. ჩვენ თუ გავზრდით მოქალაქეს, რომელსაც ჯიბეში აქვს თანხა, აქვს საკუთრება, მუნიციპალიტეტიდან საკუთრებები მის ხელში გადავა, ხოლო თუ ამ საკუთრებას პრობლემა შეექმნება, თავისუფალ სასამართლოში წავა, ამის შემდეგ, ადამიანი ნაკლებად იდარდებს, თუ ვინ იქნება ხელისუფალი, რადგან სამართავი დარჩება ცოტა, ამიტომ ერთ-ერთი მთავარი იდეა სწორედ ესაა – ძალაუფლება ხალხს.

მარტივი რამ მაფიქრებს ხოლმე, ადამიანები ერთმანეთს ცხოვრებას არ ვაცდით, რაც სამწუხაროა, რადგან ეს ცხოვრება არაა დიდი და რაც შეიძლება, მეტ ბედნიერებას უნდა ვიღებდეთ სიცოცხლისგან. დღევანდელი მთავრობა ცხოვრებას გვიშლის, ჩნდება ისეთ საკითხებში, რაც მას არ უნდა ეკითხებოდეს და ამ კუთხით, მინდა, ეს მთავარი იდეა მივიტანო მოქალაქეებამდე.

– ისე, ეს იდეა უტოპიური ხომ არაა?

– ასეთი მიდგომა მაქვს: მოითხოვ ყველაფერს? – მიიღებ ბევრს! მოითხოვ ბევრს? – მიიღებ ცოტას! შეიძლება, ერთი მხრივ, უტოპიაა, რაზეც ვსაუბრობ, მაგრამ ამას ერთი დადებითი მხარე აქვს – განახებს ვექტორს, სად არის სწორი გზა. შეიძლება, დღეს ვერ მიაღწიო შედეგს, მაგრამ მთავარია, ვექტორი გქონდეს სწორი. ქრისტიანი ქრისტე ვერ იქნება, მაგრამ მას ხომ აქვს კონცეფცია იმისა, თუ როგორია კარგი ადამიანი? ასე ვუყურებთ ჩვენც. შეიძლება, დღეს ვერ ვახერხებთ, მაგრამ ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ. მინდა, რომ ადამიანებმა იფიქრონ, რა არის სწორი. შემდეგ რა გამოვა და რა – არა, ეს უკვე სხვა საკითხია. ვისაც მოუწევს ძალა-უფლების შენარჩუნებაზე ფიქრი, ამ ხალხის იდეების გათვალისწინებაც მოუწევს. პოლიტიკოსები, რომლებიც პოლიტიკური ცხოველები არიან – ისინი დაგეშილები არიან ძალა-უფლების შენარჩუნებაზე, სწორედ ამ იდეების გატარებაზე უნდა იყოს დამოკიდებული ეს „შენარჩუნება“.

ვახტანგ მაისაია: „არავის ვაშინებ, მაგრამ“...

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა საფრთხე გვემუქრება „თალიბანისგან“ და როგორ აისახება ავღანეთის მოვლენები საქართველოზე

ექსტრემისტულმა დაჯგუფება „თალიბანმა“, რომელმაც ავღანეთის სამთავრობო ძალებზე ინტენსიური შეტევა ივლისის ბოლოდან დაიწყო, 15 აგვისტოს, კონტროლი დედაქალაქ ქაბულზე დაამყარა. ავღანეთის პრეზიდენტმა, აშრაფ ღანიმ ქვეყანა დატოვა და ამჟამად ავღანეთს თალიბები მართავენ, ამიტომ მსოფლიოს ყურადღება, სწორედ ქაბულისკენაა მიმართული. გავრცელებული ინფორმაციით, ავღანეთში იმყოფება საქართველოს 22 მოქალაქე, რომლებიც ქვეყნიდან გაყვანას ითხოვენ. 15 აგვისტოს, უკრაინამ ავღანეთიდან 80 ადამიანი გაიყვანა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნის მიუხედავად, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეები არ ყოფილან. როგორ განვითარდება მოვლენები რეგიონში, რა საფრთხეები შექმნა ავღანეთში თალიბების მმართველობამ და როგორია საქართველოს ადგილი ამ პოლიტიკურ კონტექსტში? – „ვერსია“ სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ექსპერტი ამბობს, რომ თალიბებმა იმაზე მეტ წარმატებას მიაღწიეს, ვიდრე თავის დროზე ანუ 2001 წლამდე ჰქონდათ. მაისაიას თქმით, მათ დაიკავეს ქაბული, გახდნენ ავღანეთის მმართველები და ავღანეთის ისლამური საემირო გამოაცხადეს:

„ჩრდილოეთის პროვინციებზე აქამდე წვდომა არ ჰქონდათ, მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. პირველად მოხდა, რომ თალიბებმა მთელი ტერიტორია დაიკავეს და პაკისტანსა და ირანთან საზღვრებს აკონტროლებენ. ეს კი წარმოუდგენელი იყო. „თალიბანი“ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომელშიც საკმაოდ ცნობილი, ადგილობრივი ნარკობარონები შედიან. საუბარია „ჰაკანის ჯფუფზე“, რომელზეც ავღანეთში, ოპიუმის გავრცელების, დაახლოებით, 30% მოდის. 2013 წელს, ჩვენს სამხედროებს თავს, სწორედ „ჰაკანის დაჯგუფება“ დაესხა“, – ამბობს მაისაია.

მისივე თქმით, „თალიბანი“ რამდენიმე კლანისა და პოლიტიკური დაჯგუფებისგან შედგება. უფრო ზუსტად, ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ხუთი მსხვილი, პოლიტიკური დაჯგუფებაც კი არსებობდეს:

„მოძრაობა „თალიბანის“ რეალური ლიდერი დღეს არსად ჩანს, მას მუჰამედის მოციქულის ტიტული აქვს და ყველაზე წმინდა ადამიანად, ასევე, თალიბების სულიერ ლიდერად ითვლება. სიტუაცია საკმაოდ რთულია იმიტომ, რომ მნიშვნელივანია, რომელი ტიპის დაჯგუფება აჯობებს. იქ ფუნდამენტალისტურ-რადიკალური დაჯგუფებააცაა, ზომიერიც და ამასთან, ცალკეა ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ ავღანეთში, იზოლირებული ისლამური საემირო უნდა შეიქმნას, რომელიც ნეიტრალურ პოლიტიკას გაატარებს. ფუნდამენტალისტები აპირებენ, ჯიჰადისტური პროექტის სხვა რეგიონებში ექსპორტი განახორციელონ, რათა გაფართოებული ტიპის ისლამური საემირო შეიქმნას.

ზომიერები უფრო მოდერნისტები არიან და ცდილობენ, თანამედროვე სახელმწიფოს ელემენტები შეიტანონ. რომელი დაჯგუფება აიღებს ძალაუფლებას და რომელი გაძლიერდება, ახლა, ამაზე მიდის ბჭობა. პრეზიდენტის სასახლეში უკვე გამოცხადდა, რომ ავღანეთი ისლამური საემიროს სტატუსით აღდგება, მაგრამ მნიშვნელოვანია, მთავრობა როგორ დაკომპლექტდება. იქ ახალგაზრდები იგდებენ ძალაუფლებას, რომლებიც გაცილებით რადიკალურად განწყობილნი არიან“.

ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ „თალიბანის“ მოძრაობა თურქმენეთშიც გაჩნდა. მისივე თქმით, შესაძლოა, სირიასა და ერაყიდან ისლამური სახალიფოს მთელი შემადგენლობა სწორედ იქ გადავიდეს. რაც შეეხება ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს, მაისაიას განცხადებით, გამორიცხული არაა, ისინი ავღანეთის მიმართულებით დაიძრან. მეტიც, ექსპერტი ვარაუდობს, რომ ავღანეთი, შესაძლოა, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ერთგვარი „მექა“ გახდეს:

„ისლამურ სახალიფოს ავღანეთში საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს, სადაც თალიბები ცხვირს ვერ შეყოფენ. ქართველი ჯიჰადისტებიც იქ არიან, აჰმედ ჩატაევიც ავღანეთში მიდიოდა, რათა ქართველ ჯიჰადისტებს შეერთებოდა და ისლამური სახალიფოს სტრუქტურები იმ ტერიტორიაზე აეწყო.

სხვათა შორის, იმაზე, რომ შეიძლება „შავი ტრანზიტის“ ტერიტორია გავხდეთ, ჯერ კიდევ 2016 წელს ვწერდი, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია და დამაბრალეს, საქართველოს ევროინტეგრაციას ხელს უშლისო. მერე აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავი და რამდენიმე თვეში, „ჩატაევის რეიდი“ ჩატარდა. რამდენი „ჩატაევი“ შეიძლება მოხვდეს კიდევ ჩვენს ტერიტორიაზე, არავინ იცის. კავკასია გზაა, რომელიც უნდა გაიარონ ჯიჰადისტებმა და ისიც ფაქტია, რომ სირიასა და ერაყიდან დაიძვრებიან, ამიტომ, შესაძლოა, ახალი გეოსტრატეგიული დაპირისპირების კერა შეიქმნას.

პაკისტანიც მეურვეობს „თალიბანს“ – მისი ავიაცია თალიბებს ოპერაციების განხორციელებაში მხარს უჭერდა. პაკისტანის სადაზვერვო სამსახური – ICI, თალიბების იდეოლოგია.

ასე რომ, ავღანეთში სიტუაციას პაკისტანელებიც გააკონტროლებენ. თალიბებს ფინანსურად არ უჭირთ – თუ ადრე, ავღანური ოპიუმის ბიზნესის 50%-ს აკონტროლებენ, ახლა 100%-ით აკონტროლებენ. შეიძლება, სერიოზული ნარკოტრაფიკი „გაიჭრას“, მათ შორის, საქართველოს მიმართულებითაც. უკვე ვიყავით თალიბების დარტყმის ობიექტი 2014 წელს, როცა 3 ტონა ჰეროინი გადმოიტანეს. მაშინვე ვთქვი, რომ ამის უკან „თალიბანი“ იდგა და მერე აღმოჩნდა, რომ ეს სიმართლე იყო. თალიბებმა, რელიგიიდან გამომდინარე, შესაძლოა, ნარკოტიკის შიდამოხმარება აკრძალონ, მაგრამ ხელს ნარკოტრანზიტს შეუწყობენ, რადგან ეს მათი შემოსავლის წყაროა“.

მაისაია მიიჩნევს, რომ თალიბებსა და დასავლეთს შორის იდეალური ურთიერთობები ვერ იქნება. ეს იმიტომ, რომ ამერიკელებს ოკუპანტად და დაუძინებელ მტრად თვლიან. მეტიც, ექსპერტმა „ვერსიას“ განუმარტა, რომ თალიბებს შეუძლიათ, ხელი ერთ რამეს მოაწერონ, მეორეზე იფიქრონ და მესამე გააკეთონ:

„მათ (თალიბებმა) ამერიკელები, პრაქტიკულად, „გადააგდეს“ ანუ დოჰას ხელშეკრულების მიხედვით, „თალიბანს“ უნდა შეეწყვიტა წინააღმდეგობა, მაგრამ ეს შეთანხმება არ შეასრულეს. თალიბები ავღანეთში ისედაც იყვნენ, ამერიკელებს ავღანეთში ჰქონდათ განსხვავებული ტაქტიკა, ვიდრე – საბჭოთა კავშირს. ამერიკელებმა დაიკავეს რამდენიმე ქალაქი, ჩაიკეტნენ და იმის იქით რა ხდებოდა, არ აინტერესებდათ. თუ თალიბები დაარტყამდნენ, ამერიკელებიც ვალში არ რჩებოდნენ, მაგრამ თალიბებიც აკონტროლებდნენ გარკვეულ პროვინციებს. ამერიკელების მთავარი იდეა იყო, რომ არ ყოფილიყო ბუნტი“.

ექსპერტი აშშ-ის მიერ ავღანეთიდან ჯარების გაყვანასაც აფასებს და ეჭვობს, რომ შეერთებულმა შტატებმა ის სახელი დაიბრუნოს, რაც 2001 წელს ჰქონდა. მაისაია ამბობს, რომ იმ პერიოდში, აშშ ერთპიროვნული ლიდერი და „მსოფლიო წესრიგის უნიპოლარული მმართველი“ იყო. დღეს კი მსოფლიო წესრიგი „მულტიპოლარულია“, რადგან ექსპერტის განცხადებით, აშშ ერთადერთი მბრძანებელი აღარაა:

„უმცროსი ბუშის პერიოდის აშშ, ბაიდენის აშშ-ის მსგავსი არაა. აშშ-მა ტრილიონი დოლარი ჩადო ავღანეთში, ამხელა თანხა არსად დაუხარჯავს – 100 მილიარდი დოლარი ავღანეთის ეროვნული არმიის მშენებლობაზე დაიხარჯა და თუ თალიბებმა უფასოდ ჩაიგდეს ხელში შეიარაღება, შეიძლება, იარაღის ექსპორტი დაიწყონ. ამერიკელები ახლა იმაზე ფიქრობენ, როგორ გაანადგურონ არსენალი. შეიძლება, ამერიკელებმა გაანადგურონ შეიარაღება, რათა ეს თალიბების ხელში არ აღმოჩნდეს. თალიბებმა რომ დაიწყონ ამერიკული იარაღის გაყიდვა, უამრავ ფულს მიიღებენ.

სხვათა შორის, რუსებს აქვთ კონტაქტები თალიბებთან. მართალია, რუსეთის ფედერაციას ორმაგი სტანდარტი აქვს, როგორც ყოველთვის – ერთი მხრივ, რუსეთი „თალიბანს“ თვლის საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციად, მეორე მხრივ კი, საკმაოდ მაღალ დონეზე „ფლირტაობს“. თალიბების დელეგაცია მიიღო არა მხოლოდ ლავროვმა, არამედ, პუტინმაც, ოღონდ ეს შეხვედრა არ გახმაურებულა. რუსეთს აინტერესებს, რომ ჯიჰადისტური ექსპორტი არ განხორციელდეს – მის ტერიტორიაზე, პოლიტიკური ისლამი არ გავრცელდეს, ასევე, ცენტრალურ აზიაში და ა.შ. თუმცა, თალიბებთან „ფლირტაობა“ რთულია, რადგან ავღანელებს ასეთი ანდაზა აქვთ – „ყოველთვის მოატყუე შენი მტერი“. ამერიკელებთან, ტრამპთან დადებული ხელშეკრულებაც ამას ადასტურებს. ამერიკელები თუ გადააგდეს, რა გარანტიაა, რომ რუსებსაც არ გადააგდებენ?

სხვათა შორის, თალიბები კავკასიაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი – აფინანსებდნენ კავკასიურ ისლამურ საემიროს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „თალიბანს“ ექნება გარკვეული დაინტერესება კავკასიის რეგიონის მიმართაც. დღეს თალიბებს, დაახლოებით, 4 სპეცსამსახური ჰყავთ და საკმაოდ ძლიერად მოქმედებენ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ასე რომ, ეს სახუმარო გაერთიანება არაა და საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური იდეოლოგიური ბაზა აქვს. დაამტკიცა, რომ შეუძლია არა მხოლოდ ქვეყნის მართვა, არამედ, ძალა შესწევს, რეგიონში ჰეგემონიც კი გახდეს“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ვახტანგ მაისაია იმ საფრთხეებსაც აჯამებს, რაც შესაძლოა, საქართველომ „თალიბანისგან“ მიიღოს:

„ეს არის ნარკოტრეფიკინგი – საქართველო ერთხელ უკვე იყო ამის ობიექტი. ახლა, კიდევ ვაფრთხილებ ხელისუფლებას, რომ შესაძლოა, ეს საფრთხე განმეორდეს! მეორეა ჯიჰადისტური ტრანზიტი – შეიძლება, აღმოსავლეთის ჯიჰადისტები დაიძრან ავღანეთის მიმართულებით. არავის ვაშინებ, მაგრამ რასაც ვამბობ, სამწუხაროდ, შემდეგ მართლდება ხოლმე. ყველაფერ ამასთან ერთად, არ გამოვრიცხავ, საქართველოსკენ ლტოლვილთა ნაკადიც წამოვიდეს“.

საქართველოს 140 100 მოქალაქეს ცხოვრება გაუძვირდა – სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.5%-ით გაიზარდა!

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა, რაც იმას ნიშნავს, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ით გაიზარდა. ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის მთავარი ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო, რომელმაც რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი 9.5%-დან 10%-მდე გაზარდა. პარალელურად, „საზოგადოება და ბანკებმა" ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 140 100 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. საბოლოოდ, ეს ნიშნავს, რომ მინიმუმ, 140 100 მოქალაქეს სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.5%-ით გაუძვირდება!

რატომ გაამკაცრა ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა

ვიდრე „საზოგადოება და ბანკების" საინტერესო მიმოხილვას გაგაცნობთ, სადაც დეტალურადაა განხილული, რა ეკონომიკური შედეგი მოჰყვება ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილებას, ვნახოთ, რის საფუძველზე და რატომ გაზარდა რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი ქვეყნის მთავარმა ბანკმა.

ეროვნული ბანკის გენერალური დირექტორის, კობა გვენეტაძის განცხადებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი ინფლაციაა. გვენეტაძე ამბობს, რომ ბოლო პერიოდში, ინფლაცია გლობალური გამოწვევაა და არაერთ ქვეყანაში, ივლისის თვის ფასების ზრდის მონაცემებმა პროგნოზირებულს გადააჭარბა:

„საქართველოშიც, ივლისის წლიურმა ინფლაციამ მოულოდნელად მაღალი – 11.9% შეადგინა. ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის განმსაზღვრელი ფაქტორები, ძირითადად, ერთჯერადი და მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელია. მათგან მთავარი, მსოფლიო ბაზრებზე არსებული სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილი ფასებია. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მოიმატა საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასებმა, რაც იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე ახდენს გავლენას. ივლისის მონაცემებით, იმპორტირებული პროდუქციის ფასების ზრდა, წლიურად 18.4%-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივ პროდუქციაზე ფასების ზრდას – 7.2%. ნიშანდობლივია, რომ ბოლო პერიოდში, საერთაშორისო ბაზრებზე, კვების რიგი პროდუქტების ფასების გარკვეული შემცირება შეინიშნება და აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნება, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ადგილობრივ ბაზარზეც პოზიტიურად უნდა აისახოს".

ამის შემდეგ, ქვეყნის მთავარი ბანკირი ადგილობრივ, ერთჯერად ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ მხრივ, კობა გვენეტაძის განმარტებით, აღსანიშნავია კომუნალური გადასახადები, რამაც წლიურ ინფლაციაში, 1.7 პროცენტული პუნქტის წვლილი შეიტანა. მისივე თქმით, დროებით ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა შიდა მოთხოვნაც – წლის პირველ ნახევარში, ეკონომიკურმა ზრდამ 12.7% შეადგინა, ხოლო 2021 წლის ზრდის პროგნოზმა 8.5%-მდე მოიმატა:

„ამასთან, ფისკალური სტიმულის მაღალ დონეზე შენარჩუნების ფონზე, დაკრედიტების არსებული ტემპი სასურველზე მაღალია. განახლებული მონაცემებით, ინფლაციის მოკლევადიანი პროგნოზი, წინა პროგნოზებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეტიც, მოსალოდნელია, რომ 2021 წელს, ინფლაცია, საშუალოდ, 9%-ზე მაღალი იქნება. იმისთვის, რომ დროებითი ფაქტორების შედეგად, ფასების ზრდამ ინფლაციის მოლოდინებზე გრძელვადიანად არ მოახდინოს გავლენა, ეროვნული ბანკი ხანგრძლივად შეინარჩუნებს მკაცრ პოლიტიკას ან/და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით გაამკაცრებს მას. ამგვარი პოლიტიკით და ერთჯერადი ეგზოგენური (გარე) ფაქტორების მოსალოდნელი მილევის ფონზე, არსებული პროგნოზით, 2022 წელს, ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და მის საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

რაც შეეხება საგარეო მოთხოვნას, ის ზრდას განაგრძობს, თუმცა ჯამურად – ტურიზმის გათვალისწინებით – პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, შემცირებული რჩება. წინასწარი მონაცემებით, ივნისში, საქონლის ექსპორტი 30%-ით გაიზარდა და 2019 წლის ივნისის ანალოგიურ მაჩვენებელს, დაახლოებით, 13%-ით აჭარბებს. ივნისში, საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი წლიურად, 11-ჯერ გაიზარდა, თუმცა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირება 64%-ია. ივნისში საქონლის იმპორტის 37%-იანი წლიური ზრდა დაფიქსირდა, რაც 2019 წლის ივნისის მაჩვენებელს, დაახლოებით, 13%-ით აღემატება. საქართველოს ეროვნული ბანკი მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს უწყვეტ რეჟიმში აკვირდება და ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს", – განმარტა კობა გვენეტაძემ.

* * *

როგორც გითხარით, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკებმა", ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, კომერციულ ბანკებში, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 7 825 400 000 ლარის 140 100 სესხია გაცემული, მათი აბსოლუტური უმრავლესობა კი რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება, როგორც მინიმუმ, 140 100 მოქალაქეს ცხოვრებას გაუძვირებს – მათი სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.5%-ით გაიზრდება.

„1 ივნისიდან 1 ივლისამდე, ცვლად საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხების რაოდენობა გაზრდილია 6 800 ხელშეკრულებით, ხოლო მთლიანი პორტფელი – 7 677 300 000-დან 7 825 400 000 ლარამდე გაიზარდა.

140 100 ხელშეკრულებიდან, 45 400 – სამომხმარებლო ტიპის სესხია, მოცულობა კი 1005 მილიონი ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხების საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა, 1 ივლისის მდგომარეობთ, 13.90% შეადგინა. რაოდენობრივად, პირველ ადგილზეა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. 1 ივლისის მონაცემებით, რეფინანსირების განაკვეთზე 60 300 სესხია მიბმული, საშუალოდ – 11.54%-ში, ხოლო ამ სესხების მთლიანი პორტფელი 2868.1 მილიონი ლარია.

30 400 ხელშეკრულებაა გაფორმებული ბიზნეს-სესხების გასაცემად, რაც 1 ივნისთან შედარებით, 900-ით მეტია, ამ სესხების მთლიანი პორტფელი 3779 მილიონი ლარია. აქედან, მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად, ბანკებმა 1154.9 მილიონი ლარი, საშუალოდ, 14.36%-ში გასცეს, ხოლო 1 ივლისის მონაცემებით, მსხვილი ბიზნესი 2624 მილიონი ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 13.32%-ში. ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. 1 ივლისის მონაცემებით, სულ 700 ხელშეკრულებაა გაფორმებული – 19.2 მილიონი ლარი ბანკებმა, საშუალოდ, 21.13%-ში გაასესხეს. ასევე, გაცემულია ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 3300 სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. ამ სესხების მთლიანი მოცულობა 101.2 მილიონი ლარია. 1 ივლისის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 42.3%-ია. მათ შორის, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი სამომხმარებლო სესხზეა – 21.72%", – ვკითხულობთ „საზოგადოება და ბანკების" მიმოხილვაში.

ამ ორგანიზაციის ანალიტიკოსების შეფასებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება გაზრდილი ინფლაციური რისკების წინააღმდეგ გამკაცრებული პოლიტიკის გაგრძელებაა. მათ მიაჩნიათ, რომ ივლისის წლიური ინფლაცია – 11.9%, ბოლო წლების რეკორდია, რამაც შესაძლოა, ეკონომიკა სერიოზულად დააზიანოს. პარალელურად, არც ის დავივიწყოთ, რომ საერთაშორისო, გლობალურ ბაზრებზე, სურსათი და ნავთობი ძვირდება, რასაც საერთაშორისო ტრანსპორტირების გაზრდილი ხარჯებიც თან ერთვის. „საზოგადოება და ბანკების" ანალიტიკოსების შეფასებით, ყველაფერი ეს, იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის ინფლაციის საკმაოდ დიდი წნეხია. სწორედ ამიტომ, ეროვნულმა ბანკმა კიდევ უფრო გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და 9.5%-დან 10%-მდე გაზარდა:

„მიზანი, ინფლაციის მოლოდინებზე გრძელვადიანი, უარყოფითი გავლენის პრევენციაა, თუმცა სავარაუდოა, რომ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის პირობებშიც კი, 2021-ის წლიური ინფლაცია 9%-იან ნიშნულთან შენარჩუნდება. მეორე მხრივ, 6 თვის ეკონომიკური ზრდა, წინასწარი მონაცემით, 12.7%-ია, რაც შიდა ერთობლივი მოთხოვნის საკმაოდ გააქტიურებაზე მიუთითებს და ამის ინდიკატორი გაზრდილი იმპორტი გახლავთ. ასევე, არსებული ფისკალური სტიმულიც გავლენას ახდენს ინფლაციაზე.

რაც შეეხება სავალუტო შემოდინებებს, მართალია, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები იზრდება, მაგრამ კვლავ მნიშვნელოვნად მცირეა 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით. პარალელურად, იზრდება საერთაშორისო გადმორიცხვებიც. ყველა ამ ფაქტორის მიუხედავად, აუცილებელია, მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მუშაობა, ხოლო საბიუჯეტო ხარჯების თანაბარი ათვისებითა და ეროვნული ბანკის დროული მოქმედებით, ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება, რაც სამომავლოდ, პირდაპირ კავშირში იქნება ინფლაციის მაჩვენებელთან", – მიაჩნიათ „საზოგადოება და ბანკების" ანალიტიკოსებს.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

როგორ აპირებს ოპოზიცია ეკონომიკის აღორძინებას – „ვერსიის“ ექსპერიმენტი

„გირჩი – მეტი თავისუფლების“, „ლეიბორისტებისა“ და ევროპული საქართველოს სამი ძირითადი ეკონომიკური გზავნილი

პანდემიის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება პოლიტიკურ ეშხში შედის. მართალია, წინასაარჩევნო კამპანია სრული დატვირთვით არ ამოქოქილა და პოლიტიკურ პარტიებს ჯერ სამოქმედო პროგრამების პრეზენტაციებიც არ გაუმართავთ, მაგრამ „ვერსია“ ერთგვარ ექსპერიმენტს გთავაზობთ. წარმოვიდგინოთ, რომ უკვე ნოემბრის შუა რიცხვებია და არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური სუბიექტის კონტურებიც მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია. ალბათ, გაინტერესებთ, რას გააკეთებს არჩევნებში გამარჯვებული პარტია ეკონომიკის ასაღორძინებლად? რატომ, მაინცდამაინც, ეკონომიკის? – პასუხი მარტივია: მე, როგორც ამ სტატიის ავტორი, წლებია, ეკონომიკას ვაშუქებ და ცხადია, ეს სფერო მაინტერესებს. ესეც არ იყოს, ბოლო ათი წელია, სხვადასხვაა არჩევნების წინ, „ვერსიის“ მკითხველი მიჩვეულია, რომ პარტიების პროგრამების ეკონომიკურ მიმოხილვას ეცნობა. ამ მიმოხილვას წელსაც შემოგთავაზებთ, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პარტიები პროგრამების პრეზენტაციებს გამართავენ. მანამდე, „ვერსიის“ ექსპერიმენტის შედეგები ვნახოთ, რომელშიც მხოლოდ სამი პარტია დაგვთანხმდა ოპოზიციიდან – „გირჩი – მეტი თავისუფლება“, ლეიბორისტული პარტია და ევროპული საქართველო.

„გირჩი – მეტი თავისუფლების“ სახელით, „ვერსიის“ ექსპერიმენტში ცოტნე კობერიძე ჩაერთო. დიახ, თბილისის ვიცე-მერობის კანდიდატი ცოტნე კობერიძე, რომელსაც გამოცდილმა და „ასაკში შესულმა“ კოლეგებმა ასაკი დაუწუნეს. სხვათა შორის, ცოტნესთან ვრცელ ინტერვიუს „ვერსიის“ ამავე ნომერში, ალბათ, უკვე გაეცანით და იმაშიც დარწმუნდით, რომ „ახალგაზრდა და გამოუცდელი“ ცოტნე საკმაოდ ჭკვიანია:

„იმ ცვლილებებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში უნდა გავატაროთ, საკანონმდებლო ცვლილებებიც დასჭირდება. თვითმმართველობის არჩევნებთან მიმართებაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების როლის გაზრდა – სახელმწიფოს ბალანსზე არსებული საკუთრებები უნდა გადავიდეს მოქალაქეების ხელში, რაც გამოიწვევს მათ წამიერ გამდიდრებას. ეს არის ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი ამბავი და ამას თვითმმართველი ორგანოები უნდა ჩაუდგნენ მენეჯმენტში იმიტომ, რომ მათ უფრო კარგად იციან და დათვლიან კიდეც, რა ტიპის მარაგი არსებობს, როგორც მიწის ქვევით რესურსების სახით, ასევე – მიწის ზევით. უნდა შემუშავდეს საპრივატიზებო მოდელი, რომლის მიხედვითაც გადაწყდება, ვინ და რა ოდენობის საკუთრებას მიიღებს. ეს იქნება საყოველთაო და არა აუქციონის გზით, როდესაც მდიდრები ახერხებენ საკუთრების ხელში ჩაგდებას.

მეორე ნაწილი გახლავთ ცვლილებები საგადასახადო პოლიტიკაში. ამ მხრივ, გვინდა, რომ თვითმმართველ ორგანოებს ჰქონდეთ საშუალება, საკუთარი საგადასახადო პოლიტიკა განახორციელონ. ცხადია, მათ პასუხისმგებლობა ექნებათ ცენტრალურ ბიუჯეტთანაც, მაგრამ იმის იქეთ, მაგალითად, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების, ასევე, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) კონტროლის საშუალება უნდა მიეცეთ. შესაძლოა, ზოგიერთმა რეგიონმა ჩათვალოს, რომ მისთვის პრიორიტეტული დაბალი საგადასახადო წნეხია. გარდა ამისა, ხარჯვით ნაწილშიც მივცემთ დისკრეციის უფლებას რეგიონებს. ზოგადად, ჩვენ მინიმალისტური სახელმწიფო მმართველობის მომხრეები ვართ, ცოტა ხარჯები გვიყვარს, ამიტომაც გვინდა, თვითმმართველი ორგანოებიც შეზღუდულები იყვნენ ხარჯებში და შესაბამისი ჩანაწერიც ჰქონდეთ, რათა ერთი მხრივ, დეფიციტი არ ჰქონდეთ ანუ იმაზე მეტი არ დახარჯონ, ვიდრე შემოსავალი ექნებათ, ხოლო მეორე მხრივ, დავაწესოთ ზედა ჭერი, რომლის ზემოთაც გადასახადებს ვერ გაზრდიან. მოკლედ, საკუთარი შემოსავლები უნდა ჰქონდეთ და საკუთარი ხარჯებიც თვითონვე უნდა აკონტროლონ. რაც მთავარია, ამ ღონისძიებებს უნდა მოჰყვეს ცვლილებები სასამართლო სისტემაში. მიმაჩნია, რომ სასამართლო სისტემის რეფორმაც აუცილებელია, რათა დაზღვეული იყოს კერძო საკუთრებები. ახლა რომ მტყუან-მართლის გარჩევის ინსტიტუტი არ არსებობს, რთულია, ინვესტიციების განხორციელება. რაც მთავარია, ამის გარეშე, არც იმ ღონისძიებებს ექნება აზრი, რაზეც უკვე გესაუბრეთ.

გარდა ამისა, ცვლილებები უნდა განხორციელდეს მონეტარულ პოლიტიკაში, ვგულისხმობ ლარს და ეს იქნება მესამე ეკონომიკური ფაქტორი, რასაც გავაკეთებთ. ახლა, საქართველოში, ლარში ყიდვა-გაყიდვაა სავალდებულო და ეროვნული ვალუტაც ერთადერთი საგადამხდელო საშუალებაა. გირჩის ხედვით, უნდა არსებობდეს მულტისავალუტო რეჟიმი, რაც გულისხმობს, რომ ადამიანებმა თვითონ განსაზღვრონ, რა ვალუტაში სურთ დააგროვონ ფული, ან ივაჭრონ, რათა რისკები დააზღვიონ. შესაძლოა, ბათუმში, თურქული ლირით და ევროთი იყოს ვაჭრობა, რადგან ტურისტული კუთხეა. შესაძლებელია, ლარიც დავტოვოთ, რომელიც დოლარს მიებმება და ამის გამოცდილება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებობს, მაგალითად, ბულგარეთში, სადაც ბულგარული ლევით და ევროთი ვაჭრობენ. აქაც იგივე შეიძლება, თუნდაც იმის გამო, რომ ლარი განსაკუთრებით გვიყვარს და მისი შენარჩუნება გვინდა, რადგან დროშასთან, გერბთან და ჰიმნთან ერთად, ლარის მიმართაც გარკვეული სენტიმენტები გვაქვს“.

* * *

მეორე ოპოზიციური პარტია, რომელიც „ვერსიის“ ექსპერიმენტში თამამად ჩაერთო, ლეიბორისტული პარტია გახლავთ. უფრო ზუსტად, ამ პარტიის წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატია და რომელიც „მწვანე ეკონომიკის“ ინიციატივით გამოდის:

„ჩვენი პარტია გამორჩეულია მდგრადი ეკონომიკური პრინციპების მიმართ ერთგულებით, განსხვავებით პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობისგან, დაწყებული ხელისუფლებით და დამთავრებული – ოპოზიციური პარტიებით. ბოლო 30 წლის განმავლობაში, ყველა ხელისუფალი თბილისს ისე ეპყრობოდა, როგორც დამპყრობელი. საბოლოოდ, მივიღეთ ის, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი, რომელსაც ჰქონდა პოტენციალი, იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი გამხდარიყო, ვეღარ გახდება და ეს შანსი ხელიდან გავუშვით... 30 წელია, თბილისში უკონტროლო მშენებლობების ბუმია და ამ მხრივ, არცერთი მერი არ ყოფილა გამონაკლისი, თუმცა კახი კალაძემ, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, ყველას გადააჭარბა. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ქალაქი გეგმაზომიერად უნდა განვითარდეს, სადაც დაცული იქნება, როგორც ადამიანის სიცოცხლე, ასევე, ჩვენი ქალაქის საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა.

ამ მიმართულებით, უნდა გამოვყოთ „მწვანე ეკონომიკა“, როგორც ზოგადი ჩარჩო, რომელშიც მოექცევა ყველა პროექტი, მათ შორის, სამშენებლო ბიზნესი. მეტიც, სამშენებლო ბიზნესი მკაცრ ჩარჩოებში უნდა მოექცეს, რომელიც ორიენტირებული იქნება ენერგოეფექტურობაზე... კორპუსების მშენებლობაზე, დედაქალაქში, ოთხწლიანი მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს, შეიძლება ითქვას, უნდა აიკრძალოს კიდეც ოთხი წლით. ამ პერიოდში, სამშენებლო ნორმები და სტანდარტები უნდა დაიხვეწოს. საშუალო და წვრილი მეწარმეების ხელშეწყობა აუცილებელია, თუნდაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, შეღავათიანი დაკრედიტების გზით. გარდა ამისა, ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის მიმართულება“.

* * *

ევროპული საქართველოს სახელით, „ვერსიის“ ექსპერიმენტში გიორგი ნონიაშვილი ჩაერთო. გამარჯვების შემთხვევაში, გიორგი საკმაოდ საინტერესო ეკონომიკურ ინიციატივებს გვთავაზობს:

„პირველი, რასაც გამოვყოფდი, ესაა კორუფციისა და სახელმწიფო სახსრების ფლანგვის დამარცხება. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო, სინამდვილეში, კოლოსალურ თანხას ხარჯავს საკუთარ კორუფციულ ინტერესებში. რეალურად, ეს გაფლანგული ფული შეიძლებოდა ადამიანების კეთილდღეობასა და მათი პირობების გაუმჯობესებას მოხმარებოდა. ის ფული, რომელიც მოქალაქეებამდე უნდა მივიდეს სხვადასხვა სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სახით, ყველაფერი იხარჯება ცუდად – კორუფციასა და ფლანგვაში. ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ჯგუფები ამით ხეირობენ კიდეც და ამიტომ, პირველ რიგში, სწორედ ეს ტენდენციაა წელში გასატეხი.

მეორე თემა გახლავთ გადასახადების შემცირება, რადგან სამწუხაროდ, ხელისუფლება დამატებით ეკონომიკურ ტვირთს აკისრებს ადამიანებს მაშინ, როდესაც სრულიად შესაძლებელია, საგადასახადო წნეხი შეუმციროს საკუთარ მოქალაქეებს. სინამდვილეში, ხელისუფლება პირიქით მოქმედებს – გადასახადებს არ ამცირებს და ყველაფერი ეს, ადამიანების ჯიბეებზე განსაკუთრებით ახლა მოქმედებს – კოვიდპანდემიიდან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე. ფული, რომელიც შეიძლებოდა, ხალხის ჯიბეში დარჩენილიყო, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მიაქვს. ვგულისხმობ, როგორც საშემოსავლო და მოგების, ასევე, აქციზის გადასახადების შემცირებასაც. თუ სახელმწიფო დღესვე შეამცირებს აქციზის გადასახადს, ხვალვე, ბენზინი, როგორც მინიმუმ, 0.50 ლარით გაიაფდება. სინამდვილეში, ბენზინის გაიაფება ავტომატურად გამოწვევს მთელი რიგი პროდუქტების გაიაფებასაც, რადგან ამა თუ იმ პროდუქტის ფასწარმოქმნის სისტემაში, ტრანსპორტირების ხარჯიც შედის.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება გახლავთ ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ხელისუფლება ქამრების შემოჭერის პოლიტიკაზე გვესაუბრება, თუმცა ციფრები სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებენ. ვგულისხმობ იმას, რომ ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატები გაზრდილია, ასევე, გვაქვს ასობით უსარგებლო უწყება, რომლებსაც არანაირი კეთილდღეობა არ მოაქვთ ადამიანებისთვის. მაგალითად, არსებობს საბიუჯეტო ორგანიზაცია „სულიერების ცენტრი“, რისთვისაც წელიწადში, 300 000 ლარამდე ვხარჯავთ, „ახალგაზრდობის სააგენტო“, რომელსაც 2 მილიონი ლარით ვაფინანსებთ და ასე შემდეგ. სწორედ ამ ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მოქალაქეების ეკონომიკურ მდგომარეობას“.

საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები ვაქცინაციას თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში შეძლებენ

საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას, ვაქცინაციას სამ დაწესებულებაში შეძლებენ:

თბილისში – აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა;

ბათუმში – რესპუბლიკური საავადმყოფო;

ქუთაისში – ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი.

შეგახსენებთ, რომ ვაქცინაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარებისთვის: საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი (რომელთა ლეგალურად ყოფნა დასტურდება შესაბამისი ვიზის, ბინადრობის ნებართვით ან უვიზო რეჟიმის ხანგრძლივობით), რომელიც იმყოფება საქართველოში და მისი შემოსვლიდან გასულია, მინიმუმ სამი თვე; სახელმწიფო პროგრამის – „იმუშავე საქართველოდან“ მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები; საქართველოში განათლების

მიღების მიზნით მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები (რომლებმაც ვერ მოახერხეს ქვეყნის დატოვება), შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე; საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების, აგრეთვე, მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების უცხოელი თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები.

ვაქცინაციას შეძლებენ, ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად; №164 განკარგულებით განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის ოჯახის წევრს (შვილი, მშობელი,მეუღლე) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე.

ვაქცინაციის პროცესში ჩართვა შეუძლია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფ მოსახლეობასაც, მოქალაქეობის მიუხედავად, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მომუშავე პირებსა და მათი ოჯახის წევრებს. ვაქცინაციისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა ან მოქალაქეობის არმქონე პირებმა დაწესებულებებს უნდა წარუდგინონ რომელიმე კატეგორიასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვაქცინირებული პირების რეგისტრაცია ელექტრონულ სისტემაში განხორციელდება მხოლოდ ვაქცინაციის შემდეგ.

რომელ ვაქცინას ანიჭებს ხალხი უპირატესობას

საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, არსებული მონაცემებით, 800 ათასამდე ადამიანმა ჩაიტარა. „ვერსია“ დაინტერესდა, როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას ვაქცინების მიმართ და რომელ ვაქცინას ანიჭებენ უპირატესობას?

ლაშა, 27 წლის: – დაცვის მიზნით ავიცრები, რათა დავიცვა საკუთარი ჯანმრთელობა და ახლობლები. ვენდობი „სინოფარმს“, „ასტრაზენეკას“ და „ფაიზერს“.

ნია, 19 წლის: – არ გავიკეთებ, რადგან ეს არის ჩვეულებრივი ვირუსი, რომელიც ყველამ უნდა გადაიტანოს.

ანა, 32 წლის: – ჯერჯერობით, არაფერი მაწუხებს, მაგრამ შეიძლება ავიცრა იმიტომ, რომ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ რთული ვითარებაა და ვფიქრობ, ყველამ უნდა გაიკეთოს ვაქცინა. მე, ალბათ, „ასტრაზენეკათი“ ან „ფაიზერით“ ავიცრები.

მათე, 25 წლის: – კორონავირუსი ისე მოედო მსოფლიოს, რომ ჩემი აზრით, დასაფასებელია ვაქცინების ასე სწრაფად გამოჩენა და ვაქცინაცია ყველა ადამიანისთვის აუცილებელია.

სოფო, 21 წლის: – თუ ეფექტურია, რაც ჯერ არ დადასტურებულა, ამ შემთხვევაში, აუცილებლად ავიცრები, მაგრამ ამ ეტაპზე, თავს ვიკავებ. აცრას თუ გადავწყვეტ, მინდა, „ფაიზერი“ გავიკეთო.

რეზი, 36 წლის: – ორიოდე დღის წინ, „სინოვაკით“ ავიცერი, ეს იყო მეორე დოზა. წინა შემთხევაში, „ასტრაზენეკათი“ ავიცერი.

მაკა, 23 წლის: – ვფიქრობ, საჭიროა და აუცილებლად გავიკეთებ, რეგისტრირებული ვარ და უახლოეს დღეებში ავიცრები „სინოფარმით“.

ლევანი, 24 წლის: – რა თქმა უნდა, საკუთარი ჯანმრთელობის პრევენციის მიზნით, ვაქცინას გავიკეთებ. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ყველაზე სანდოა „ფაიზერი“ და „ასტრაზენეკა“.

მარიამი, 44 წლის: – მე ავიცერი „სინოვაკით“. ვაქცინაცია ყველასთვის აუცილებელია, რადგან ასეთ დროს, ვირუსით ინფიცირების შემთხვევაშიც კი, ადამიანი შედარებით მარტივად გადაიტანს ვირუსს.

გიორგი, 28 წლის: – მე გავიკეთე „ფაიზერის“ ვაქცინა იმიტომ, რომ ეს თავდაცვაა. მართალია, არ ვარ რისკ-ჯგუფში, მაგრამ შეიძლება გადამდები ვიყო მისთვის, ვინც რისკ-ჯგუფშია. ვფიქრობ, აუცილებელია სხვის სიცოცხლეზეც ზრუნვა.

ვანო, 42 წლის: – მე, პირადად, ძალიან ბევრ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა, ამიტომ ჩემთვის აუცილებელია ვაქცინაცია. პირველი დოზით უკვე ავიცერი „სინოფარმით“, ერთი თვის შემდეგ, სავარაუდოდ, „ფაიზერით“ ავიცრები.

ლიზიკო, 42 წლის: – ქრონიკული დაავადებები მაქვს, ახლახანს გავიკეთე ანალიზები, თუ ყველაფერი წესრიგში იქნება და ვაქცინა ჯანმრთელობის პრობლემას არ შემიქმნის, ამ შემთხვევაში, აუცილებლად დავრეგისტრირდები, სავარაუდოდ, „ფაიზერზე“. საბოლოოდ ხომ უნდა დამთავრდეს პანდემია, ამისთვის სხვა გზა არ არსებობს იმის გარდა, რომ საყოველთო ვაქცინაცია ჩატარდეს.

ნინო, 41 წლის: – არ გავიკეთებ ვაქცინას, უფლის ნებით, ვფიქრობ, ყველაფერს გადავიტანთ.

ნიკა, 31 წლის: – ამ ეტაპზე, კორონავირუსი ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს და ცხადია, გამოსავალი ვაქცინაციაა. რატომ უნდა ვთქვა უარი, როდესაც ეს არის თავდაცვის ერთადერთი საშუალება! აცრილი ვარ ორივე დოზით, პირველი დოზა „სინოვაკი“ გავიკეთე, მეორე – „სინოფარმი“. თუ საჭირო გახდება მესამე დიზის გაკეთება, რაზეც რამდენჯერმე იყო საუბარი, აუცილებლად ავიცრები კიდევ.

ემილი ფეიქრიშვილი

როგორ უნდა მიიღოს ვაქცინირებულმა ცნობა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად – დეტალური ინსტრუქცია

ვაქცინირებული პირების საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საჭირო ცნობის მიღების ინსტრუქცია: ვაქცინირებულ პირებს, საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საჭირო ცნობის მიღება იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლიათ. ვაქცინაციის პროვაიდერი დაწესებულება დოკუმენტს ადასტურებს ამავე დაწესებულების ბეჭდით და/ან შტამპით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

ცნობა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის თაობაზე, შემდეგ ინფორმაციას მოიცავს:

ვაქცინირებული პირის პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი; ვაქცინის დეტალები: დოზა, მწარმოებელი, თარიღი; სამედიცინო დაწესებულების დასახელება; ინფორმაცია ჩატარებული COVID-19 ტესტირების შედეგებისა და კვლევის განმახორციელებელი ლაბორატორიის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების გარდა, ვაქცინირებულ პირს შეუძლია, ცნობა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის თაობაზე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში მოითხოვოს, რომელიც ასევე ადასტურებს დოკუმენტს ბეჭდით და/ან შტამპით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

მიმღები ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული ცნობა შესაძლებელია დამოწმდეს აპოსტილით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ ინახება იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ბეჭდის, შტამპისა და ხელმოწერის ნიმუში, აპოსტილი შეიძლება დასმულ იქნეს დოკუმენტზე მხოლოდ ამ დაწესებულებებიდან სათანადო ნიმუშების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გადაგზავნის მიღების შემდეგ.

იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება სამედიცინო დაწესებულებებიდან ბეჭდის, შტამპისა და ხელმოწერის ნიმუშების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გადაგზავნა, შეგიძლიათ, მიმართოთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს და მათ მიერ გაცემული ცნობა წარადგინოთ სერვისების განვითარების სააგენტოში.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინ(ებ)ით აცრის ცნობის აპოსტილით დამოწმების აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს დროებით ღონისძიებას, საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების QR კოდების ევროკავშირის სივრცესთან მიერთებამდე.

სამართალი

№29 18 აგვისტო 2021 წ

უცნაური ქურდობების სერია თბილისში

„დანაშაული ჩავიდინე და მზად ვარ, პასუხი ვაგო, მაგრამ გემუდარებით, შვილი გადამირჩინეთ“

ბათო ჯაფარიძე

ადრე არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა მაღალჩინოსნები მათი ბინის გაქურდვის ფაქტს მალავდნენ. ისინი არაოფიციალურად ცდილობდნენ საქმის გამოძიებას, განცხადებას არ წერდნენ, რადგან რომ დაეწერათ, რა ქონებაც მოპარეს, ამით შესაბამისი სამსახურები დაინტერესებოდდნენ, ეს კი არავის სურდა. არაოფიციალური გამოძიება ანუ სანაცნობო-სამეგობროთი და მაღალჩინოსანი ძალოვანების შეწუხებით, ხშირად უშედეგოდ სრულდებოდა. თუმცა იყო გამონაკლისიც – ჩინოვნიკები მიდიოდნენ მილიციაში და არათუ განცხადებას წერდნენ, არამედ, ზღაპრულ ციფრებსაც უშიშრად უთითებდნენ.

თბილისის ერთ-ერთ კორპუსში განგაში ატყდა, რამდენიმე ადამიანი ბოლო ხმაზე ყვიროდა, ხანძარია, ხანძარიო და სახლიდან ყველა, ლამის, ნახევრად შიშველი გამორბოდა. რა თქმა უნდა, რამდენიმე ადამიანმა სახანძროშიც დარეკა, მთელ სადარბაზოში მდგარი კვამლი კი ნათლად მიუთითებდა, რაღაც იწვოდა. სახლიდან გამოვიდა ერთ-ერთი ქარხნის დირექტორიც, რომელსაც ხელში მომცრო ჩემოდანი ეჭირა, მაგრამ საკუთარ კარს მხოლოდ ორი ნაბიჯით გასცდა – ვიღაცამ თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა, ჩემოდანი გამოართვა და გაქრა.

„მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი მკვლელობების განყოფილებაში, ბინის ქურდებს დავდევდი და, რაღა თქმა უნდა, განყოფილების უფროსმა ყველა ოპერმუშაკი დაგვიბარა. მის კაბინეტში დაზარალებული, გაბღენძილი იჯდა და ისე იქცეოდა, თითქოს შს მინისტრი იყო. განცხადებაც იქ ედო, სადაც დაკარგულ თანხად – არც მეტი, არც ნაკლები – ორი კილოგრამი ფული ეწერა. განყოფილების უფროსს მაშინვე ვუთხარი, ზემოთ ამ ამბავს ცუდად გაიგებენ, ეგებ, კონკრეტული ციფრი მივუთითოთ-მეთქი, მაგრამ დაზარალებულმა იყვირა, მე არაფრის მეშინია, ასე ეწეროს, როგორც არის, ხოლო როცა იპოვით, უკან სწორედ ორი კილოგრამი უნდა დამიბრუნოთ და ყველა შეკვრა ასმანეთიანების უნდა იყოსო. ფულის გარდა, მითითებული იყო ოქროს ყელსაბამი – ბრილიანტის 28 თვლით, ოქროს საყურეები – ბრილიანტის თვლებით და უბრალოდ, ოქრო, რომელიც ნახევარ კილოგრამს იწონიდა, ძველი ნაკეთობები გადავადნობინე და ვინახავდი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინაო, ასე ახსნა დაზარალებულმა“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

შემთხვევის ადგილზე გასულმა სამართალდამცავებმა, პირველ რიგში, ის გაარკვიეს, რომ კვამლი კორპუსის სარდაფში ჩაყრილმა თივამ გამოწვია, რომელსაც ცეცხლი წაუკიდეს და სადარბაზო კვამლით გაივსო. ქურდებმა კარგად გათვალეს – ქარხნის დირექტორი შინ არ დატოვებდა თანხას, რადგან შეიძლება, დამწვარიყო. გათვლა ასი პროცენტით გამართლდა, დირექტორმა სახლიდან ყველაფერი გამოიტანა და ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანიდან, სადარბაზოში, საბჭოთა კავშირის რიგით მოქალაქედ იქცა. მეზობლებს არაფერი დაუნახავთ, რადგან სადარბაზოდან ყველა სახეზე ნაჭერაფარებული გამორბოდა და ვერავინ ვერავის სცნობდა. საქმე უიმედო ჩანდა და ერთადერთ გამოსავლად ოქროს გადამყიდველები რჩებოდნენ, რომლებსაც სამართალდამცველთათვის უნდა ეთქვათ, თუ ვინმე დიდი ოდენობით ოქროს მიიტანდა, თუმცა მომდევნო ორ დღეში, ასეთი არავინ გამოჩენილა.

მესამე დღეს ერთი, ძალიან უცნაური ფაქტი მოხდა: თბილისის ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლებმა სახანძრო და მილიცია ერთად გამოიძახეს, აქაოდა, მეზობლის ბინაში რაღაც აფეთქდა და კარს არავინ გვიღებსო. სამართალდამცავებმა კარის შეტეხვა სცადეს, თუმცა საკეტი შიგნიდან გაიღო და კართან დარცხვენილი კაცი აიტუზა. თურმე, შესქელებულ რძეს („სგუშონკას“) ხარშავდა, წყალი დაშრა, კაცი ტელევიზორის ყურებით გაერთო და რკინის ქილაში დახუფული სითხე აფეთქდა, ჭერი და კედლები ხომ მთლიანად მოსვარა და კაცსაც ჭერიდან ჩამოვარდნილი რამდენიმე წვეთი მელოტ თავზე დაეცა, ძალიან ემწარა და აბაზანაში სწორედ თავს იგრილებდა, როცა მეზობლები აკაკუნებდნენ. სახანძრო მაშინვე უკან გაბრუნდა, მილიციის თანამშრომლებმა კი გამოძახების დასაფიქსირებლად, მამაკაცს საბუთები მოსთხოვეს. მან უხერხულად გაიღიმა, პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო და გათავისუფლების მოწმობა ამოიღო, ამის მეტი ჯერ არაფერი მაქვს, ერთი კვირაა, გავთავისუფლდი, ჩემი პასპორტი მილიციაშია და ვერ მოვახერხე მისვლა და გამოტანაო.

„მილიციის იმ თანამშრომელს ასჯერ მაინც ვკითხე, რატომ გადაწყვიტა ბინის ჩხრეკა, მაგრამ ვერ მიპასუხა, ალბათ, ინტუიციამ იმუშავაო. მოკლედ რომ ვთქვა, ერთ-ერთმა სამართალდამცავმა აიჩემა, გინდა თუ არა, ბინა უნდა გავჩხრიკოთო და სანამ შესაბამისი ორდერი შედგებოდა... სახლის პატრონი, უბრალოდ, გაიქცა. ის მესამე სართულზე ცხოვრობდა, აივნიდან მარტივად გადახტა და გაუჩინარდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ბინაში სამართალდამცავებმა დიდძალი ოქრო და ფული იპოვეს. ქარხნის დირექტორმა საკუთარი ნივთები ამოიცნო და მილიციის თანამშრომლებს გულითადი მადლობაც გადაუხადა, თუმცა არ იცოდა, რომ მისით ჯერ „ობეხეესი“, შემდეგ კი უშიშროება დაინტერესდა. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, ეს საქმოსანი დააკავეს და სახელმწიფო ქონების მითვისების გამო, 12 წელი მიუსაჯეს. მთავარი „დამნაშავე“ ამ ამბავში ის განცხადება იყო, სადაც მან გავლენიანი მფარველების იმედად დაწერა, ორ კილომდე ფული გამტაცესო.

იმის მიუხედავად, რომ გამოძიებას ძარცვაში ეჭვმიტანილი ჰყავდა, ყველა აღიარებდა, გაქცეულს არ ჰქონდა ისეთი გონება, აღნიშნული ოპერაცია მოეფიქრებინა და ჩაეტარებინა. მილიციას ბანდის „ტვინი“ უნდა მოეძებნა.

სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ, კიდევ ერთი უცნური ქურდობა მოხდა. ასევე, გავლენიანი კაცის მეუღლე, ქუჩაში, ვიღაც ფოტოაპარატიანმა ბიჭმა გააჩერა, ჯერ ხომ შეაქო, შემდეგ უთხრა, სურათების საკავშირო გამოფენა უნდა გაიმართოს, ჩემი ნამუშევრები მოსკოვში მიმაქვს და სწორედ თქვენნაირ დახვეწილ ქალბატონს ვეძებდიო. ახალგაზრდა კაცმა ქალს უთხრა, იქნებ, საღამოს კაბა ჩაიცვათ, ცოტა მაკიაჟიც გაიკეთოთ, მაგრამ ჩემს ატელიეში ღარიბული ავეჯია, ცოტა მდიდრული ინტერიერი გვინდაო. ქალი შექებით აღფრთოვანდა და ბიჭი შინ დაპატიჟა. გამოცვლასა და მაკიაჟს, დაახლოებით, 20 წუთი დასჭირდა, ახალგაზრდა კაცმა რამდენიმე სურათი გადაიღო და ახლა ძვირფასეულობის გაკეთება მოსთხოვა. ქალმა ბრილიანტის სამეული მოირგო, ყელზე ოქროს ჯაჭვი დაიკიდა და ისევ იპოზიორა. კაცმა ტანსაცმლის გამოცვლა კიდევ ერთხელ სთხოვა და სანამ ქალი საძინებელში სარკის წინ ტრიალებდა, იქვე დაყრილი ძვირფასეულობა აიღო და გაქრა.

გაჩნდა ეჭვი, რომ ფოტორეპორტიორის ნიღაბქვეშ, პირველი ქურდობის თუ ძარცვის მთავარი გმირი იყო. ამიტომ, ქალს რამდენიმე სურათი ანახეს – წვერით, უწვეროდ და უცებ ქალმა სურათებში ფოტოგრაფი ამოიცნო, ოღონდ არა ძებნილი პირი, არამედ, ერთ-ერთ სურათზე, მის გვერდით მდგომი მამაკაცი. ეს ძებნილის დის ქმარი გახლდათ. რა თქმა უნდა, მილიციის თანამშრომლები მის დასაკავებლად გაემგზავრნენ და ჩასაფრება მისსავე სახლში მოაწყვეს. ოჯახში „ფოტოგრაფის“ ცოლი და 7 წლის გოგონა იყვნენ. ეჭვმიტანილი შინ მალე დაბრუნდა და კარის გაღებისთანავე, სამართალდამცავების ხელში აღმოჩნდა.

„ჩემს გოგონას სასწრაფო ოპერაცია სჭირდება, სხვა შემთხვევაში, მოკვდება. ჯანდაცვის სამინისტროში მოვითხოვე ოპერაციის გაკეთება და მისი დაფინანსება, რადგან ასეთი სირთულის ქირურგიულ ჩარევას მხოლოდ მოსკოვში აკეთებენ. მითხრეს, დიდი რიგია, ორი წლის მერე მოგიწევთო. არადა, შვილი მიკვდებოდა, მერე მითხრეს, რომ 5 ათასი მანეთი უნდა გადამეხადა და რიგი ერთ კვირაში მომიწევდა. ამდენი ფული თვალით არასდროს მენახა, ამ 5 ათასს, მოსკოვში მგზავრობისა და იქ ოპერაციის ხარჯები ემატებოდა. ამიტომ, გადავწყვიტე, ფული გამომერთმია მათთვის, რომლებსაც ბევრი ჰქონდათ. ცოლის ძმაც სწორედ ამ დროს გათავისუფლდა ციხიდან და გეგმის განხორციელებაში დამეხმარა. სამწუხაროდ, პირველი ნაქურდალი მილიციამ იპოვა, ცოლის ძმა გაიქცა და მეორე ქურდობა მარტომ განვახორციელე. მე მართლა ფოტოგრაფი ვარ, ჩემი სამსახურის წინ კი საკომისიო მაღაზიაა, სადაც ეს ქალი ხშირად დადიოდა და ფულს ათას სისულელეში ხარჯავდა. ამიტომ შევარჩიე ის და არც შევმცდარვარ. მე დანაშაული ჩავიდინე, მზად ვარ, პასუხი ვაგო, მაგრამ გემუდარებით, შვილი გადამირჩინეთ“, – ეს არის ამონარიდი დაკავებულის ჩვენებიდან.

გავლენიანმა დაზარალებულებმა მაქსიმუმი გააკეთეს საიმისოდ, რომ დაკავებულისთვის დიდი სასჯელი შეეფარდებინათ. ასეც მოხდა, სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სამაგიეროდ, მილიციის თანამშრომლებმა ივარგეს და სახელმწიფოს ხარჯზე, გოგონას მოსკოვში ოპერაციაც გაუკეთეს და შემდეგ, რეაბილიტაციის კურსიც დააფინანსებინეს. გოგონა გადარჩა და მამას, რომელმაც, პრაქტიკულად, ყველაფერი გასწირა, მოუთმენლად ელოდა. სამწუხაროდ, დაკავებულმა 12 წელი სრულად მოიხადა, მისი ცოლის ძმა, 6 თვის შემდეგ აიყვანეს, თუმცა სასამართლოზე უკვე ზეწოლა აღარ იყო და მას, წარსულში ნასამართლევს, მხოლოდ 7 წელი აკმარეს.

13 წლის ბავშვმა სამი ადამიანი მოკლა

როდის, რატომ და როგორ დაგეგმა მკვლელობა – სკანდალური კრიმინალური საქმის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ადრე ასე იყო – სამართალდამცავები სკოლებში დადიოდნენ და მოზარდ თაობას ლექციებს უტარებდნენ იმის შესახებ, რატომ უნდა დაიცვან კანონი, რატომ არ უნდა დაეხმარონ დამნაშავეს და რა შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული დანაშაულის ჩადენას. არცთუ იშვიათად, საქართველოში, რუსულენოვანი სკოლებისთვის, აღნიშნული ლექციების წასაკითხად თუ გაკვეთილების ჩასატარებლად, მილიციის მაღალჩინოსნები რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან ჩამოდიოდნენ. არც ის იყო უცხო, რომ რუსულის კარგად მცოდნეებს, გაკვეთილების ჩასატარებლად, სხვა რესპუბლიკაში საქართველოდანაც აგზავნიდნენ. რეალურად, ეს ერთგვარი აგიტაცია-პროპაგანდა იყო და ამასთან, საბჭოთა მილიცია მაქსიმალურად ცდილობდა, ერთი მთლიანი ჯაჭვის რგოლი ყოფილიყო ყველა უწყება, ამიტომ რაც მეტი სანაცნობო თუ სამეგობრო ეყოლებოდათ თანამშრომლებს საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მით უკეთესი იქნებოდა.

„ასე მოვხვდი მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში გაკვეთილებზე. 13-14 წლის ბავშვებს ვასწავლიდით, რა არის ცუდი და კარგი, სისხლის სამართლის კოდექსიდან მუხლებსაც კი ვუკითხავდით. მაშინ კაპიტნის ჩინი მქონდა, ჩემთან ერთად, მაიორიც იყო, ადგილობრივი, რუსი“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი საქმეს, რომელიც პირად კონტროლზე, საბჭოთა კავშირის შს მინისტრმა, ნიკოლაი შჩოლოკოვმა აიყვანა, მაგრამ რად გინდა – ეს ამბავი 1982 წლის სექტემბერში მოხდა, ნოემბერში კი, მისი მფარველი, ლეონიდ ბრეჟნევი გარდაიცვალა და მალე შჩოლოკოვიც თანამდებობიდან მოხსნეს.

სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გაჭიანურდა მაშინ ამ (და არა მარტო) საქმის გამოძიება – ერთმანეთს შსს და ძლევამოსილი „კა-გე-ბე“ დაეჯახა და ის ბრძოლა მაშინ უშიშროებამ მოიგო.

მოკლედ, მორიგი გაკვეთილის შემდეგ, რუსი მაიორი ეზოში სიგარეტის მოსაწევად გავიდა, მისი ქართველი კოლეგა კი სამასწავლებლოში წყლის დასალევად შევიდა. ამ დროს, სამასწავლებლოში ბავშვები შემოვარდნენ და ყვირილი დაიწყეს – „მოკლეს, მოკლეს!“

ქართველი კაპიტანი გარეთ გიჟივით გავარდა და დაინახა, რომ სკოლის ეზოში, მისი კოლეგა სისხლში ცურავდა. სასწრაფო დახმარების მანქანა ადგილზე 20 წუთში მივიდა, მაგრამ ამაოდ – მაიორი გარდაიცვალა.

როგორც თვითმხილველები ჰყვებოდნენ, მაიორი სიგარეტს ეწეოდა, როცა მასთან ნიღაბჩამოფარებული ბავშვი მივიდა, შენ სიკვდილის ღირსი ხარო, უთხრა და დანა ორჯერ დაარტყა. მოსწავლეები ამტკიცებდნენ, ბავშვის ტანის დიდი ადამიანი კი არა, ბავშვი იყო, რადგან ხელებიც ბავშვის ჰქონდა და ხმაცო. სახე არავის დაუნახავს, აგებულება კი ისეთი ჰქონდა, როგორიც, თუნდაც იმ სკოლაში, რამდენიმე ათეულ ბავშვს. სანამ გამომძიებლები მივიდოდნენ, მოსწავლეები ქართველმა კაპიტანმა გამოჰკითხა.

„იმ კლასში, სადაც ბოლო გაკვეთილი ჰქონდა, მცირე ინციდენტი მომხდარა. მაიორს უთქვამს, ყველა, ვისაც 14 წელი შეუსრულდა, პასუხისმგებელია საკუთარ საქციელზეო და რომელიღაც მოსწალვეს წამოუყვირია, მე 13 წლის ვარ და შენ რომ მოგკლა, არ დამიჭერენო. სასწრაფო წესით, იმ მოსწავლის მოძებნა მოვითხოვე, მაგრამ ვერსად მიაგნეს. შედეგად, ის ნომერ პირველი ეჭვმიტანილი გახდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბავშვი ერთ საათში იპოვეს, თუმცა მას ძალიან მყარი ალიბი ჰქონდა. გაკვეთილის დასრულებისთანავე, ორ მეგობართან ერთად, სკოლის ეზოდან გავიდა და დაახლოებით, ნახევარი საათი, სიგარეტს ეწეოდა. მკვლელობა კი შესვენებაზე მოხდა და ის ორი მეგობრის მხედველობის არეში იყო. გამომძიებლებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო მკვლელი და ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ამ ამბავს უცნაური გაგრძელება ექნებოდა.

მეორე დღეს, სკოლაში მისულებს, ერთ-ერთი საკლასო ოთახის დაფაზე დახვდათ წარწერა – „ეს ბოლო მკვლელობა არ არის, კიდევ იქნება“. კარისკაცი იფიცებოდა, უცხო არავინ შემოსულაო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვლელი, სწორედ აღნიშნული სკოლის მოსწავლე იყო, მაგრამ ვინ და ვის ემუქრებოდა კიდევ მოკვლით?

„ჩემს კოლეგებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ მეორე, შესაძლოა, მე ვყოფილიყავი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რატომ მე და სიმართლე გითხრათ, ვერც წარმომედგინა, 13-14 წლის ბავშვს დანით როგორ უნდა მოვეკალი?! მოულოდნელობის ეფექტი გასაგებია, სავარაუდოდ, ამას ემსხვერპლა ჩემი კოლეგაც, ვერ წარმოიდგინა, რომ ბავშვი გაიმეტებდა, მაგრამ მე ხომ უკვე ვიცოდი, ფრთხილად ვიყავი და გამორიცხული იყო, სიახლოვეს შეიარაღებული ბავშვისთვის მუცელი მიმეშვირა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან მესამე დღეს, სკოლასთან ახლოს, ბაზარში, ვიღაც ნიღბიანმა ბავშვმა მამაკაცს დანა მუცელში ორჯერ გაუყარა და ადგილზე მოკლა. გარდაცვლილი იმავე ბაზრის დირექტორი, ქალაქში საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი პირი იყო. იგივე ხელწერა, იგივე ბავშვი, მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში, ვინ და რატომ კლავდა ადამიანებს? როგორც მოსალოდნელი იყო, გამომძიებლებმა გარდაცვლილ მამაკაცებს შორის კავშირის ძიება დაიწყეს და მალე მიაგნეს: სამი წლის წინ, ბაზრის დირექტორმა გზაზე ქალი გაიტანა და მოკლა. პირველადი დასკვნით, ის ნასვამი იყო, თუმცა შემდეგ, მასალებიდან ეს ფაქტი გაქრა, ნასვამობა ქალს (?!) დაუდგინდა და ავტოსაგზაო შემთხვევაც გარდაცვლილს დაბრალდა. საქმეს მაშინ სწორედ გარდაცვლილი მაიორი იძიებდა. გაჩნდა ლოგიკური ეჭვი, რომ შურისძიებას ვიღაც იმ საქმის გამო ახორციელებდა.

გადაწყვიტეს, გარდაცვლილი ქალის ოჯახი მოენახულებინათ. შინ მისულებს, მოხუცი ქალი დახვდათ, გარდაცვლილის დედა, რომელიც შვილიშვილს მარტო ზრდიდა, რადგან მამამ ოჯახი მეუღლის სიკვდილიდან ერთ თვეში მიატოვა და სხვა ქალთან გადასახლდა. შვილიშვილი შინ არ იმყოფებოდა, სკოლაშიაო, ბებიამ. სანამ სამართალდამცავები ბავშვს ნახავდნენ, მამის ნახვა გადაწყვიტეს, მისი სახლის მისამართი გაიგეს და კორპუსთან ელოდნენ.

„მეც იქ ვიყავი, ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, მხოლოდ ერთი ბიჭი იჯდა ცალკე, ბორდიურზე და აქეთ-იქით ნაღვლიანად იხედებოდა. ის, ვისაც ველოდით, გამოჩნდა, სწორედ იმ ბავშვის წინ გაჩერდა და მთელი ტანით დაფარა. მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ბავშვი წამოდგა და დაახლოებით, ხუთ წამში, ადგილიდან მოწყდა. მამაკაცი ნელ-ნელა ჩაიკეცა, თან მუცელზე იკიდებდა ხელს. ჩვენს თვალწინ მკვლელობა მოხდა და მკვლელი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. ჩემს გარდა, მას კიდევ ერთი ოპერმუშაკი დაედევნა, მეორემ კი სასწრაფოში დარეკა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სასწრაფომ ვერც ამ მამაკაცს მოუსწრო, ბავშვი კი ოპერმუშაკებმა მარტივად დააკავეს.

„დედაჩემი, ჩემი და მამის თვალწინ მოკლა ბაზრის დირექტორმა, გალეშილი მთვრალი იჯდა საჭესთან. რა თქმა უნდა, მამამ იჩივლა, მერე მიგვატოვა და როცა ვუთხარი, ოღონდ ის ამიხსენი, იმ კაცს რამდენი მისცეს-მეთქი, მითხრა, 7 წელი, მეტს არ აძლევენო. დავმშვიდდი და იმის მიუხედავად, რომ წლები მეცოტავა, მაინც ბედნიერი ვიყავი. დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, ეს კაცი დავინახე სრულიად ჯანმრთელი და თავისუფლებაზე. მამას მივაკითხე, მითხრა, დედას მაინც ვერ გავაცოცხლებდით და ათი ათასი მანეთი მოგვცესო. მან მითხრა გამომძიებლის სახელი და გვარი, იმანაც ასე მირჩიაო. ვიცნობდი ამ მაიორს, მივხვდი, ვისზეც იყო საუბარი და იმას ვნანობდი, რომ ძალიან პატარა ვიყავი. ვარჯიში დავიწყე, კუნთები რომ გამზრდოდა და ძალა მქონოდა. სამივეს მოკვლა ორი წლის წინ გადავწყვიტე და შანსი ახლა მომეცა. ჩადენილს არ ვნანობ“, – თქვა ბავშვმა დაკითხვაზე.

ის, რაც შემდეგ მოხდა, ალბათ, არავინ ელოდა. ბავშვი საგამოძიებო ექსპერიმენტზე ჯერ ბაზარში წაიყვანეს, შემდეგ – სკოლის ეზოში. ხელბორკილი არავის გაუკეთებია, ვინ იფიქრებდა, რომ გაქცევას გაბედავდა. ბაზარში ყველაფერი მარტივად ჩატარდა, სკოლის ეზოში კი ბავშვი მილიციის თანამშრომლებს ხელიდან გაუსხლტა და შენობაში შევარდა. სამართალდამცავები ფეხდაფეხ მიყვნენ, თუმცა ბავშვმა პირველი სართულის ფანჯრიდან ისკუპა, მერე სკოლის ღობეში დატანებულ ხვრელში გაძვრა, იქიდან ავტოფარეხის სახურავზე ავიდა და გაიქცა. მისი ძებნის ბრძანება პირადად შჩოლოკოვმა გასცა, მაგრამ ამაოდ.

„სულ ვკითხულობდი ხოლმე, იპოვეს თუ არა გაქცეული ბავშვი და მუდმივად მეუბნებოდნენ, ვერაო. მხოლოდ 9 წლის შემდეგ დააკავეს, სულ სხვა საქმეზე და სულ სხვა ქალაქში. თურმე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, უზბეკეთში იმყოფებოდა, იქ როგორ მოხვდა, კაცმა არ იცის და ვიღაცის ოჯახს ცხვრების მწყემსვაში ეხმარებოდა. სრულწლოვანი რომ გახდა, რუსეთში დაბრუნდა, თუმცა მოსკოვს არ გაეკარა, მაგრამ კრიმინალურ წრეებში ტრიალებდა და დააკავეს. იმის გამო, რომ სამი მკვლელობის ჩადენის დროს, 13 წლის იყო, ვერაფერი მიუსაჯეს, თუმცა სხვა დანაშაულები გაუხსნეს და ციხეში ხანგრძლივი დროით გაისტუმრეს“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

პატიმარი №0578

მკვლელობა აბაზანაში

ვინ არის მაღალჩინოსანი, რომელმაც ახალგაზრდა ქალს ცხოვრება დაუნგრია

სამწუხაროდ, დღეს ძალიან ბევრი გოგონაა ისეთი, რომელიც შვილს ქორწინების გარეშე აჩენს, თუმცა საბედნიეროდ, ეს საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის საგანი სულ უფრო ნაკლებად ხდება. ადრე კი ასე არ იყო – ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა არა მარტო მეზობლების, ნათესავების, მეგობრებისა და, უბრალოდ, სრულიად უცხო ადამიანების საჭორაო თემა ხდებოდა, არამედ, ასეთ ქალებს ყურადღებას სამართალდამცავებიც აქცევდნენ და ყველაფერს „ამორალურ ცხოვრებაში“ უთვლიდნენ. ქორწინების გარეშე შვილს ერიდებოდნენ კაცებიც და მაქსიმუმს აკეთებდნენ, რათა ასეთი რამ არ მომხდარიყო. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, თავისი გმირი ჰყავს, უცნობი გმირი, რომლის ადგილსამყოფელიც, სამწუხაროდ, არავინ იცის.

1982 წლის აგვისტოში, ერთ-ერთ კორპუსში ახალგაზრდა კაცის გვამი იპოვეს. ის აბაზანაში იყო გარდაცვლილი და მიზეზიც მარტივი ჩანდა – აბაზანაში დენის დამაგრძელებელი ეგდო. არცთუ იშვიათად, აბაზანაში ყოფნისას, ადამიანთა გარკვეული კატეგორია მუსიკას უსმენდა და რადგან იქ დენის წყარო იშვიათად იყო, დამაგრძელებელს იყენებდა. ეს არცთუ უხიფათო გახლდათ, რადგან არაერთხელ მომხდარა, რომ დამაგრძელებელი აბაზანაში ჩავარდნილა და ადამიანი მოუკლავს. ასე გამოიყურებოდა მომხდარი ამ შემთხვევაშიც.

„გარდაცვლილი ახალგაზრდა, 27 წლის უცოლო ბიჭი, ძალიან გავლენიანი კაცის მძღოლი იყო, მისი კარის მეზობელი კი პოლიციის პოლკოვნიკი გახლდათ. სამწუხაროდ, სანამ ექსპერტიზა მივიდოდა, პოლკოვნიკმა გადაწყვიტა, მცირე გამოძიება თავად ჩაეტარებინა და დაასკვნა – საქმე უბედურ შემთხვევასთან გვაქვს. ასე განსაჯეთ, ჩვენს მისვლამდე გვამიც კი წააღებინა ანუ ყველა კვალი წაშალა. ამის მიუხედავად, ექსპერტებმა ნამუსიანად იმუშავეს და დაასკვნეს – აბაზანაში იყო დენის წყარო ანუ გარდაცვლილს დამაგრძელებელი არ სჭირდებოდა და ყველაფერი კარგად მოფიქრებულ მკვლელობას ჰგავდა. გამოძიება მაინც უბედური შემთხვევის მიმართულებით წავიდა, რადგან არც იმ მაღალჩინოსანს სურდა ხმაურის ატეხა და პოლკოვნიკიც ამბობდა, ჩემს ვერსიას არ გადაუხვიოთო“, – გვიყვება საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამოძიების საუბედუროდ, არც მოწმე იყო ისეთი, ვინც იტყოდა, რომ მძღოლის სახლიდან გამოსული ვინმე დაინახა და რაც მთავარია, არავინ ამბობდა, რომ ბიჭს მტერი ჰყავდა. სამაგიეროდ, გამოძიებამ ერთი საინტერესო დეტალი გაარკვია – დაახლოებით, ოთხი წლით ადრე, მაღალჩინოსანს, რომლის მძღოლადაც გარდაცვლილი მუშაობდა, თავს დაესხნენ. მომავალი მძღოლი იქ შემთხვევით აღმოჩნდა და კაცს დაეხმარა, რაც საბოლოოდ, ერთ-ერთი თავდამსხმელის გარდაცვალებით დასრულდა. მაღალჩინოსანმა ყველაფერი იღონა, ახალგაზრდა კაცი ციხეში რომ არ აღმოჩენილიყო, შემდეგ კი მძღოლადაც აიყვანა, ბინის მიღებაშიც დაეხმარა ანუ ყველანაირად გვერდში დაუდგა. თანამშრომლებიც ამბობდნენ, რომ მძღოლსა და შეფს ძალიან ახლო, თბილი ურთიერთობა ჰქონდათ და ერთმანეთს ყველაფერში თვალდახუჭული ენდობოდნენ.

საქმე დასახურად მზად იყო, როცა მორიგი შემთხვევა მოხდა. უკვე მაღალჩინოსნის სახლში, სადაც ათამდე სტუმარი იყო, ერთ-ერთმა ქალბატონმა მაგნიტოფონის ჩართვა გადაწყვიტა. შტეფსელის როზეტში შეერთების შემდეგ, რაღაც მოხდა, რამაც მოკლე ჩართვა გამოიწვია და ქალი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ექსპერტებმა შტეფსელის როზეტი დაათვალიერეს და დასკვნაც დადეს – ყველაფერი შეგნებულად ისე იყო მოწყობილი, რომ ვინც რაიმეს ჩართავდა, უნდა მომკვდარიყო, თუმცა ქალს გაუმართლა. ეს უკვე შემთხვევითობა არ იყო, მაღალჩინოსნის სახლში პროფესიონალმა იმუშავა და გათვლა სწორედ ის გახლდათ, რომ ოჯახის უფროსი მომკვდარიყო, რადგან მისი ცოლ-შვილი დასასვენებლად გახლდათ, კაცი შინ მარტო იმყოფებოდა და რომ არა სტუმრიანობა, არავინ იცის, გაუმართლებდა თუ არა იმ ქალივით.

„მაღალჩინოსანი დაკითხვაზე დავიბარეთ, თუმცა ხმა არ ამოუღია და მუდმივად საათზე იხედებოდა, თითქოს რაღაცას ელოდა. დაახლოებით, 30 წუთში, კაბინეტში ჩემი უფროსი შემოვიდა და მითხრა, რომ კაცი შინ უნდა გამეშვა და მისთვის კითხვები არ დამესვა. სხვა გზა არ იყო, ასეც მოვიქეცი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამომძიებლებმა ერთი რამ ზუსტად იცოდნენ – მას, ვინც მოკლა მძღოლი და სურდა მაღალჩინოსნის მოკვლა, ძალიან კარგად ესმოდა ელექტროობა. ამიტომ, ძებნა ამ მიმართულებით განაგრძეს. მალევე იპოვეს გოგონა, რომელიც გარდაცვლილი ბიჭის საცოლედ ითვლებოდა და მისი სიკვდილის შესახებ მოგვიანებით, მარტივი მიზეზის გამო გაიგო – სოფელში იყო წასული შვებულებით და იქიდან მომავალ მეუღლეს ვერ ურეკავდა. როცა დაბრუნდა და მომხდარი გაიგო, მაშინვე მილიციაში მივიდა და საინტერესო დეტალებიც გაიხსენა. გოგოს თქმით, წასვლამდე საქმროს ნახვა გადაწყვიტა, შინ მიაკითხა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. არადა, მას შეგრძნება ჰქონდა, რომ სახლში ვიღაც იყო, რადგან უმნიშვნელო, მაგრამ რაღაც ხმაური მაინც ისმოდა. გამომძიებლები გარდაცვლილის ბინაში კიდევ ერთხელ მივიდნენ და ახლიდან დაათვალიერეს. ექსპერტებმა დაასკვნეს – ოთახის რადიატორზე ვიღაც იყო მიბმული, რადგან თოკის ნაწილაკები რკინის მილებს შერჩენოდა და ის ადგილი გახეხილიც გახლდათ. უფრო მეტიც, ექსპერტებმა იატაკი გულმოდგინედ დაათვალიერეს, ორი ღერი ქერა თმა იპოვეს და ამას გარდა, პარფიუმერიის ნაწილაკები. გამოდიოდა, იმ მილზე ქალი ჰყავდათ მიბმული. საცოლე ჯიუტად იმეორებდა, გამორიცხულია, ჩემს საქმროს ვინმე ჰყოლოდა, რადგან არასდროს შემიმჩნევია ისეთი რამ ჩაედინა, ეჭვი გამჩენოდაო.

„სწორედ მაშინ ვიფიქრეთ, რომ საყვარელი გარდაცვლილს კი არა, შესაძლებელი იყო, მაღალჩინოსანს ჰყოლოდა. სანამ ამ ვერსიას ვამუშავებდით, კაცის „ვოლგა“, რომელსაც ჯერჯერობით თავად მართავდა, აალდა, მაგრამ მან ავტომობილიდან გადმოსვლა მოასწრო, გამვლელებმა კი ცეცხლი ჩააქრეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გადაწყდა, გენერალურ პროკურორთან შეეთანხმებინათ ძლევამოსილი მაღალჩინოსნის დაკითხვა, მაგრამ ეს საჭირო აღარ გახდა – განყოფილებაში ახალგაზრდა, რუსი გოგონა გამოცხადდა, გვარად ვორონცოვა. მან გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა და მოყოლა დაიწყო.

„წარმოშობით რუსეთიდან ვარ. სოფელში, ჩვენს ხის სახლში, მოკლე ჩართვის გამო ხანძარი გაჩნდა და მშობლები იქ დაიწვნენ. ამიტომ გადავწყვიტე ელექტროობა ისე მესწავლა, ხალხს დავხმარებოდი, რათა ანალოგიური რამ, არავის მოსვლოდა. ხელობა კარგად ვისწავლე და გადავწყვიტე, სხვადასხვა რესპუბლიკაში მეცხოვრა. პირველ ჯერზე, საქართველო ავირჩიე. სამსახურის შოვნა არ გამჭირვებია და გამოძახებებზე სიხარულით მივდიოდი. ერთ-ერთი ასეთი გამოძახება ჩინოვნიკის სახლში, ზუსტად ერთი წლის წინ იყო. მაშინაც ცოლ-შვილი ზღვაზე ჰყავდა, მე კი მითხრა, უცოლო ვარო. ერთად წელიწადზე მეტი ვიცხოვრეთ, ისიც თქვა, ცოლ-შვილი კი მყავს, მაგრამ დავშორდები, ცოლად შენ მოგიყვანო. მერე დავორსულდი და ვუთხარი კიდეც, მნიშვნელობა არ აქვს, ცოლად მომიყვან თუ არა, მაგრამ ბავშვი უნდა გავაჩინო-მეთქი. შინ დამიბარა სასაუბროდ, ჩაი დავლიეთ და მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც გაურია, გემო მემწარა, თუმცა სანამ რამეს მოვიფიქრებდი, გავითიშე. აზრზე მძღოლის ბინაში მოვედი, რადიატორზე ვიყავი მიბმული. მძღოლმა მითხრა, უფროსმა შენი მოკვლა მიბრძანა, აქ ნათესავი და მომკითხავი არავინ გყავს, შენს გაქრობას ვერც შეამჩნევენ, მე კიდევ მოკვლა არ მინდა, მაგრამ ვერც იმას ვფიქრობ, რა მოგიხერხოო. ასე გავიდა ორი დღე, შემდეგ კი მძღოლმა ბოდიში მომიხადა, სხვა გზა არ მაქვსო და საღამოს ქალაქგარეთ უნდა გაგიყვანოო. მივხვდი, ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო. როგორღაც გავთავისუფლდი, მძღოლი აბაზანაში იწვა და დამაგრძელებელი ჩავაგდე. გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. მერე ჩემი „კეთილისმყოფელის“ ბინაში წავედი, გასაღების ასლი ადრევე გავაკეთე, თითქოს ინტუიციურად ვგრძნობდი, დამჭირდებოდა. მაგნიტოფონს სულ ერთსა და იმავე ჩამრთველში რთავდა, ამიტომ ისე მოვაწყვე, დენს დაერტყა და მოეკლა. საუბედუროდ, ეს სხვამ გააკეთა, თუმცა გამიხარდა, რომ უდანაშაულო ადამიანი გადარჩა. შემდეგ უკვე „ვოლგა“ მოვუწყვე ისე, რომ უნდა აფეთქებულიყო, თუმცა ამ ჯერზეც გადარჩა და აი, მოვედი, მზად ვარ, პასუხი ვაგო“, – ეს იყო გოგონას აღსარება.

სასამართლომ მკვლელს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო საქმიდან მაღალჩინოსნის გვარი საერთოდ გაქრა. რამდენიმე თვეში, მან ციხის საავადმყოფოში იმშობიარა და ბავშვი მაშინვე წაიყვანეს.

„გათავისუფლების შემდეგ, ის ქალი ორი წელი დარჩა საქართველოში, ჩემთანაც იყო რამდენჯერმე, თავის შვილს ეძებდა, მაგრამ ინფორმაცია არავინ მისცა, ამის უფლება არავის ჰქონდა და თანაც, აუტკივარ თავს, მისთვის არავინ აიტკიებდა. რაღაც მიმართულებები, რაც ვიცოდი, კი მივეცი, მაგრამ ამაოდ. ჰოდა, დაბრუნდა რუსეთში. ის მაღალჩინოსანი კი... დღემდე ცოცხალია და მართალია, ისე მძლავრი და გავლენიანი ვეღარ არის, სამაგიეროდ, შვილებსა და შვილიშვილებში ხარობს და იმ ქალისგან განსხვავებით, თავისი შვილი არც უძებნია“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

პოლიციამ იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე რესტორანი დალუქა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე რესტორანი „ჩვენებური“ დალუქეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტი იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დაჯარიმდა. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მიუხედავად, რესტორნის ადმინისტრაციამ კვლავ განაგრძო საქართველოს მთავრობის დადგენილებით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა, რის გამოც გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლით. აღნიშნული რესტორანი პოლიციამ იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით დარღვევის გამო დალუქა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248 -ე პრიმა მუხლის თანახმად, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის, ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, იურიდიული პირის შემთხვევაში – დაჯარიმებას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ასევე, მის მიმართ ლიკვიდაციისა და დაჯარიმების ღონისძიების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – შინაპატიმრობას ექვსი თვიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით.

პოლიციამ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული გ.გ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ასევე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნაცნობი – 1996 წელს დაბადებული ბ.მ., ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე, ქობულეთში დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კახეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალთან მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, დაკავებულია 1980 წელს დაბადებული ზ.ზ.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ამავე ფაქტთან დაკავშირებით, ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის ბრალდებით, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, 1977 წელს დაბადებული ჯ.ჯ. დააკავეს.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ მიმდინარე წლის 16 აგვისტოს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი წინანდლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე პირს შორის, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. აღნიშნული დაპირისპირებისას, 1971 წელს დაბადებულმა ვ.ც.-მ, ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებული ჯ.ჯ.-ის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რასაც ამავე დაპირისპირებაში მონაწილე, 1994 წელს დაბადებული ნ.კ.-ის მხრიდან, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღიდან საპასუხო სროლა მოჰყვა.

ნ.კ.-ის მიერ განხორციელებული სროლის შედეგად, ოთხი პირი: 1971 წელს დაბადებული ვ.ც., 1976 წელს დაბადებული ზ.ზ., 1975 წელს დაბადებული ზ.მ. და 1991 წელს დაბადებული ა.შ. დაიჭრა. მიღებული დაზიანებების შედეგად, ვ.ც. და ზ.ზ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო ზ.მ.-ს და ა.შ.-ს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

გამოძიებით ასევე დგინდება, რომ მომხდარი დაპირისპირებისას, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა ბრალდებულის სახით დაკავებულმა ზ.ზ.-მაც, რა დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა 1994 წელს დაბადებული ნ.კ.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები – „სტეჩკინის“ ტიპის პისტოლეტი და „საიგას“ ტიპის ნახევრადავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) რეგიონული დირექტორი ქართველ სამართალდამცველებს შეხვდა და ტრანსნაციონალურ ნარკოდანაშაულთან წარმატებული ბრძოლისთვის მადლობა გადაუხადა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, მამუკა ჭელიძე აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) რეგიონულ დირექტორს, უილიამ უორენთს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში წარმატებით ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიება, რომლის შედეგადაც ქართველმა, უკრაინელმა და სომეხმა სამართალდამცველებმა უკრაინაში, ქალაქ კიევში, 368 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს.

DEA-ს რეგიონულმა დირექტორმა, აღნიშნული ღონისძიების წარმატებით ჩატარებაში, საქართველოს პოლიციის მიერ შეტანილ წვლილსა და მის ეფექტურ მუშაობაზე გაამახვილა ყურადღება. უილიამ უორენთმა ქართველ კოლეგებს ბოლო წლების განმავლობაში არსებული მჭიდრო თანამშრომლობისა და წარმატებული მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა.

თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ DEA-ს წარმომადგენლებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან იმედი გამოთქვა, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული მ.ქ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 8 აგვისტოს, თბილისში, პირადი წყენის საფუძველზე, 1976 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს ცივი იარაღისა და ბლაგვი საგნის გამოყენებით, სხეულზე დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც გ.ბ. ადგილზე გარდაიცვალა.

ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ, შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მ.ქ. მომხდარიდან მალევე დააკავა.

სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან დანაშაულის ჩადენის იარაღები – დანა და ჩაქუჩი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

24 აგვისტოს პარაოლიმპიადა იწყება

ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, ასპარეზი პარაოლიმპიელებს დაეთმობათ. ტურნირი 24 აგვისტოს, ტოკიოში საზეიმოდ გაიხსნება და 6 სექტემბრამდე გასტანს. ქართველთაგან, იაპონიაში, 14 სპორტსმენი იასპარეზებს, მათ შორის, ყველაზე ტიტულოვანი ძიუდოისტი ზვიად გოგოჭურია, ვინც რიოს პარაოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიგო. პირველად მოხდა,რომ სპორტის ერთ სახეობაში გამოვა და-ძმა – გიორგი და ინა ქალდანები, ისინი ძიუდოისტები არიან. რაღა თქმა უნდა, მედლისთვის იბრძოლებს ეტლით მოფარიკავე ირმა ხეცურიანი, რომელიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო თასის 18-გზის გამარჯვებული გახლავთ. რაც შეეხება დელეგაციას, საქართველოს პარაოლიმპიური ნაკრები ასე გამოიყურება:

ეტლით ფარიკაობა – ირმა ხეცურიანი, ნინო თიბილაშვილი, გვანცა ზადიშვილი;

პარაძიუდო – ზურაბ ზურაბიანი (-60კგ.), გიორგი გამჯაშვილი (-66კგ.), გიორგი ქალდანი (-73კგ.), ზვიად გოგოჭური (-100კგ.), რევაზ ჩიკოიძე (+100კგ.), ინა ქალდანი (-70კგ.);

წოლჭიმი – აჰმად რაზმ აზარი (80), აკაკი ჯინჭარაძე (107);

პარაცურვა – ნიკა თვაური;

პარამძლეოსნობა – დავით ქავთარაძე;

პარასროლა – ლადო ჭინჭარაული.

ფულადი ჯილდო ოლიმპიადაზე მეხუთე ადგილებზე გასულებმაც მიიღეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნები 500 ათას ლარს მიიღებენ, ხოლო ბრინჯაოს მედალი 250 ათას ლარად დაფასდა. არადა, ოლიმპიადამდე ცნობილი იყო, რომ ოქროში მთავრობა მილიონ ლარს იხდიდა, ვერცხლი 102 ათას ლარად ფასობდა, ბრინჯაოს მედალი კი 68 ათას ლარად. აღნიშნულმა ინფორმაციამ ყველა სააგენტო თუ სოციალური ქსელი მოიარა, მაგრამ არსად დაწერილა, რომ თანხის გარეშე არც მეხუთე ადგილზე გასული სპორტსმენები დარჩნენ. ვის რა თანხა ერგო ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ, თავად ნახეთ:

I ადგილი

ლაშა ტალახაძე – 1 000 000 ლარი (დამატებით 500 000 ლარი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდებისათვის);

ლაშა ბექაური – 1 000 000 ლარი.

II ადგილი

ვაჟა მარგველაშვილი – 500 000 ლარი;

ლაშა შავდათუაშვილი – 500 000 ლარი;

გურამ თუშიშვილი – 500 000 ლარი;

იაკობ ქაჯაია – 500 000 ლარი;

გენო პეტრიაშვილი – 500 000 ლარი.

III ადგილი

ანტონ პლესნოი – 250 000 ლარი.

IV ადგილი

სანდრო ბაზაძე – 20 400 ლარი.

V ადგილი

რამაზ ზოიძე – 13 600 ლარი;

გოგიტა არქანია – 13 600 ლარი;

ესკერხან მადიევი – 13 600 ლარი;

ეთერ ლიპარტელიანი – 13 600 ლარი;

ტატო გრიგალაშვილი – 13 600 ლარი;

ვარლამ ლიპარტელიანი – 13 600 ლარი.

ალი რინგს დაუბრუნდა

გასულ კვირას, პროფესიონალურ კრივში სადებიუტო შეხვედრა გამართა ვინმე, ნიკო ალიმ. კოვიდრეგულაციებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოკრივე ყველასთვის უცნობია, დარბაზში ხალხი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოო ჯამში, ტრიბუნებზე დასაშვებზე მეტი ადამიანი მოგროვდა. საქმე ის გახლავთ, რომ ნიკო ლეგენდარული მოკრივის, მუჰამედ ალის შვილიშვილია და სადებიუტო შეხვედრა... ბაბუის ტრუსებით ჩაატარა.

ტრუსების ბრალია თუ გენების, ვერ გეტყვით, მაგრამ ნიკომ პირველი შეხვედრა მოიგო. მართალია, ბაბუასავით დამაჯერებელი არ ყოფილა, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ მას დიდი მომავალი აქვს. ნამატჩევს, ნიკომ განაცხადა, ამ ტრუსებს აღარასოდეს ჩავიცვამ, რადგან რომ დამიზიანდეს, თავს ვერ ვაპატიებო. ისე, კრივის ექსპერტები აღიარებენ, რომ სპორტის ამ საეხობაში ალის, ტაისონის, ჰოლიფილდის და ლუისის დარი დიდი ჩემპიონები აღარ არიან და ეს ვაკუუმი, შესაძლოა, სწორედ ნიკომ შეავსოს.

მსოფლიო ფეხბურთმა ლეგენდა დაკარგა

75 წლის ასაკში, ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი, გერდ მიულერი გარდაიცვალა. სახალხო ბომბარდირი, კაცი, რომელსაც გერმანიის ჩემპიონატში 365 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით დღემდე საუკეთესოა.

მიულერმა, ფეხბურთელის რანგში, გერმანიის ჩემპიონატი და თასი 4-4-ჯერ მოიგო, ევროპის ჩემპიონთა თასი კი – სამჯერ. მან ერთხელ გაიმარჯვა თასების მფლობელთა თასსა და საკონტინენტთაშორისო თასზე. გერმანიის ფედერაციული ნაკრების რიგებში, მიულერი, მსოფლიო ჩემპიონი 1974 წელს გახდა, ხოლო ევროპის ჩემპიონატი 1972 წელს მოიგო. ამასთან ერთად, გერმანელმა ფორვარდმა 1970 და 1972 წლებში, „ოქროს ბუცი“ დაისაკუთრა, 1970 წელს კი „ოქროს ბურთი“ მიიღო. ბოლოს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მიულერი ალცჰაიმერით იყო ავად.

მესიმ მილიონების მოტანა დაიწყო

ლიონელ მესი კარიერას ფრანგულ „პარი სენ ჟერმენში“ რომ გააგრძელებს, ყველას კარგად მოეხსენება. ფეხბურთის არგენტინელმა ვარსკვლავმა პარიზელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში, საერთო ჯამში, 100 მილიონს მიიღებს. 30 მილიონი ლეოს იმიტომ ერგო, რომ საფრანგეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით ანუ უფასოდ გადაბარგდა და კლუბის ხელმძღვანელებმა ე.წ. „პადიომნი“ – 30 მილიონი დოლარი მისცეს, წლიური ხელფასი კი 35 მილიონი იქნება. სამაგიეროდ, კლუბს დარჩება ყველა ის შემოსავალი, რომელიც მესის მაისურების გაყიდვიდან შეუვა. ერთი შეხედვით, შესაძლოა, ეს მცირე თანხად გეჩვენოთ, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

პირველ ორ დღეში, მესის მაისურების გაყიდვით, პარიზელებმა უკვე 120 მილიონი დოლარი გამოიმუშავეს. აღნიშნული ყველაზე მეტად ლეგენდარულ კალათბურთელს, მაიკლ ჯორდანს გაუხარდა. რა შუაშია ჯორდანი? პსჟ-ს სპორტულ ეკიპირებას ჯორდანის ბრენდი ახორციელებს (Nike-ის ერთ-ერთი ცალკეული ხაზი). ყოფილ კალათბურთელსა და პარიზულ გიგანტს შორის მოლაპარაკება 2019-20 წლების სეზონში შედგა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ გუნდის ნებისმიერი ფეხბურთელის თითეულ გაყიდულ მაისურზე, თანხის 5%-ს მაიკლი მიიღებდა. ამრიგად, 120 მილიონიდან, ჯორდანს უკვე 6 მილიონი ერგო და თანხა ყოველდღიურად რომ გაიზრდება, ადვილი მისახვედრია.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ის ცხვირსაცოხი, რომლითაც მესიმ „ბარსელონასთან“ გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე ცრემლი შეიმშრალა და ცხვირი მოიწმინდა, აუქციონზე მილიონ დოლარად იყიდება. ნივთის აღწერაში წერია, რომ მასზე დარჩენილია მესის დნმ, რაც მსურველს შესაძლებლობას მისცემს, მომავალში მისი კლონირება განახორციელოს.

ისწავლეთ მამარდაშვილის გვარის სწორად წარმოთქმა

როცა მიმდინარე სეზონის წინ, გიორგი მამარდაშვილი, იჯარის წესით, ესპანურ „ვალენსიაში“ გადავიდა, ცოტას თუ სჯეროდა, რომ 20 წლის მეკარე ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებდა. რაც არ უნდა იყოს, ესპანელთა კარს გამოცდილი იასპერ სილესენი იცავს და გიორგისაც მცირე შანსი ჰქონდა, თუმცა ჰოლანდიელი მეკარე დაშავდა, მეორე მეკარეს ვირუსი შეეყარა და მწვრთნელი იძულებული გახდა, სეზონისწინა ამხანაგურ მატჩებში, კარში სწორედ მამარდაშვილი ჩაეყენებინა. გიორგიმ შანსი გამოიყენა და მთელი საქართველო სუნთქვაშეკრული ელოდა ახალი სეზონის დაწყებას, რომელიც ვალენსია-ხეტაფეს მატჩით იხსნებოდა. ჰოდა, 2001 წლის შემდეგ, პირველად, ესპანური პრიმერა-დივიზიონის გუნდის ძირითად შემადგენლობაში ქართველმა ითამაშა. 20 წლის წინ, „სოსიედადის“ რიგებში, ეს გიორგი დემეტრაძემ გააკეთა.

„ვალენსიამ“ შეხვედრა მინიმალური სხვაობით – 1:0 მოიგო და ეს იმის მიუხედავად, რომ უკვე მეორე წუთზე, მოედანზე 10 კაცით დარჩა. მამარდაშვილმა კი, ალბათ, კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ორი ისეთი ბურთი აიღო, სილესენი კი არა, მსოფლიოს ნებისმიერი მეკარე ტაშს რომ დაუკრავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავი მატჩის ბოლო წუთზე მოგერიებული ბურთია, რის შემდეგაც, სტადიონზე მისული გულშემატკივარი გიორგის ფეხზე დაუდგა და ტაში დაუკრა.

„მამარდაშვილი... ისწავლეთ ამ გვარის სწორად წარმოთქმა, რადგან „მესტალიას“ („ვალენსიას“ სტადიონის სახელი) ბინადართ ახალი გმირი ჰყავთ და ის გიორგი მამარდაშვილია“, – ასეთი სათაურით, სტატია ესპანეთის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გამოცემა „მარკამ“ დაწერა. რაც მთავარია, გულშემატკივრები უკვე ღიად აცხადებენ, რომ მათი გუნდის კარი არა სილესენმა, არამედ, სწორედ მამარდაშვილმა უნდა დაიცვას.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ თუ ერთი წლის შემდეგ, ესპანელები ქართველ კიპერს დაიტოვებენ, თბილისის „ლოკომოტივს“, რომლის კუთვნილებაცაა მამარდაშვილი, მაქსიმუმ, მილიონ ევროს გადაუხდიან, რადგან კონტრაქტში ასე წერია.

ლევან ყენია მწვრთნელობას შეუდგა

ბოლო წლების ერთ-ერთმა, ყველაზე ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა, ლევან ყენიამ საფეხბურთო კარიერა დაასრულა და მწვრთნელობა დაიწყო. არადა, ყენია, სულ რაღაც, 30 წლის გახლავთ და რომ არა გაუთავებელი ტრავმები, დიდი ფეხბურთის თამაში ნამდვილად შეეძლო.

როგორც გერმანული მედია იუწყება, ქართველი სპეციალისტი რეგიონალ-ლიგის „იურდინგენის“ სამწვრთნელო შტაბში იმუშავებს და მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იქნება. ღმერთმა ქნას, რაც მოთამაშის ამპლუაში დააკლდა ლევანს, ის მწვრთნელის რანგში აისრულოს. დასაწყისისთვის, გერმანიის რეგიონალ-ლიგის კლუბში მუშაობა ძალიან კარგი სტარტია.

ქართველ კლასიკოსთა უკვდავი პოეზია

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი _
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არრის მქონე,
არრის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

ილია ჭავჭავაძე

განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...
მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა.
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.
წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო, _
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..
ნურც მკვდარს გამწირავ,
ნურც – ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!

აკაკი წერეთელი



კიდევაც ვნახავ გაზაფხულს

(სიმღერა)

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელმოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა,
ამწვანებულსა მთა-ბარსა,
დამწყაზრულს, ყვავილიანსა.
კიდევაც ვნახავ, ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
აღარვინ იტანჯებოდეს

და აღარცვისა შიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ჰყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.
გუშინწინ ვნახე, გუშინაც,
გველი სწამლავდა იასა,
აშლიდა შხამსა და გესლსა,
ვერ კი აძლევდა ზიანსა.
დღეს ვხედავ, ია მთელია,
სუნნელოვანი, ნაზია,
ვუცქერ და ვამბობ იმასვე:
რა ტურფა, რა ლამაზია!
გველი დაღოღავს მუცლითა,
ახრჩობს ბოღმა და ბრაზია.
კიდევაც ვნახავ, უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ,
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ;
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არარაობდენ,
ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ვეღარ ჩხაოდენ!
დაჰბეროს სიცოცხლის სიომ
მომაკვდავს არემარესა,
გაუათასდეს სინათლე
ცაზე მზესა და მთვარესა,
უხვადა სძღვნიდენ წყალობას
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა.
ჩვენც, მსხვერპლნი ძალმომრეობის,
ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა.
ჩიტების ტკბილი გალობა
ისმოდეს ყოველ მხარესა.
ვიხილავ სანატრელ სახეს,
რომ ამდგარიყოს მკვდრეთითა,
გვერდს ედგნენ მისნი ზვარაკნი,
გაფიცულები გვერდითა
ჭაბუკნი თავდადებულნი,
ტრფიალით მეტისმეტითა,
ტანს უმშვენებდეს წყლულები
ერთგულ მამულის შვილებსა,
ანგელოზები დაფნისას
გვირგვინს ადგამდენ გმირებსა.

ვაჟა ფშაველა

მთაწმინდის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...

ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!

მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,

და, მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით,

მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...

ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!

აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,

აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,

ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,

ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,

ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,

თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,

და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;

თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს

მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,

თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,

სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა;

რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,

რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,

რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,

რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,

რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!.

გალაკტიონ ტაბიძე

ვირუსის საწინააღმდეგო მცენარე იპოვეს

სწავლულთა საერთაშორისო ჯგუფმა მცენარე Nigella sativa-ს (ნიგელა, სოინჯი) კორონავირუსის საწინააღმდეგო თვისებები გამოაქვეყნა. მისი გავრცელების ძირითადი არეალი ჩრდილოეთ აფრიკა და დასავლეთ აზიაა. ნიგელაში არსებული ზოგიერთი ნივთიერება ბლოკავს ფილტვის ინფექციას, რომელსაც კორონავირუსი იწვევს. სწორედ ამიტომ, მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მცენარე, მომავალში, შესაძლოა, ვირუსთან საბრძოლველად გამოიყენონ.

სწავლულების თქმით, ნიგელას აქტიური ინგრედიენტია ტიმოხინონი. მას შეუძლია შექმნას ნაერთი კორონავირუს SARS-CoV-2-ის S-ცილასთან და თან დაბლოკოს ინფექცია, მათ შორის, ციტოკინური შტორმი. კვლევებისას გაირკვა, რომ ტიმოხინონი არ აძლევს გამოთავისუფლების საშუალებას ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს – ინტერლეიკინებს და წამლის როლს ასრულებს ალერგიის, ასთმის, ეგზემას, რავატოიდული, ასევე, ოსტეოართრიტის დროს.

ვიოლინოს ფორმის ნავი ააგეს

ვენეციის ლაგუნაში, სადაც უკვე მიმდინარე თვიდან აიკრძალა დიდი გემებისა და საკრუიზო ლაინერების შესვლა, უჩვეულო, 12-მეტრიანი ნავის პრეზენტაცია გაიმართა. უჩვეულო კი იმით არის, რომ მას ვიოლინოს ფორმა აქვს და სახელად „ნოეს ვიოლინო“ უწოდეს. ამ შესანიშნავი ქმნილების ავტორი ლივიო დე მარკია, რომელმაც უკვე არაერთი მცურავი სკულპტურა შექმნა, მათ შორის, ნავი-ფერარი. ამჯერად, ლივიომ საკუთარი ნახელავი კორონავირუსით გარდაცვლილებს მიუძღვნა. „ნოეს ვიოლინოს“ წყალში ჩაშვების ოფიციალური ცერემონია, სავარაუდოდ, სექტემბერში უნდა გაიმართოს. მისი „მენიჩბე“ ახალგზარდა შკიპერი იქნება – ისტორიული კოსტიუმით. ნავი-ვიოლინო ვენეციის დიდ არხში, ვივალდის მუსიკის თანხლებით გაცურავს. პრეზენტაციის შემდეგ, სავარაუდოდ, ის ტურისტებს მოემსახურება.

ბრინჯის ქისა ახალშობილის ნაცვლად

ამომავალი მზის ქვეყანაში, ახალშობილების მშობლები ახლობლებს ბრინჯით გატენილ ქისებს უგზავნიან – ამგვარად, მათ საშუალება ეძლევათ, ოჯახის ახალი წევრი „გაიცნონ“, „ხელში აიყვანონ“ და „ჩაეხუტონ“. ეს ტრადიცია სულ ახალია და კოვიდ-პანდემიის დროს გაჩნდა. ქისაზე ჩვილის ფოტოს ამაგრებენ, წონა კი დაბადებისას ბავშვის წონის შესაბამისია. იდეის ავტორია ქალაქ კიტაკიუსიუს ბრინჯის მაღაზიის მფლობელი, ნარუო ონო. ბავშვების ტომსიკებით ჩანაცვლება მან ჯერ კიდევ 14 წლის წინ მოიფიქრა, როცა შვილი გაუჩნდა და შორს მყოფი ახლობლებისთვის მისი ჩვენება სურდა. კლიენტების დაინტერესების შემდეგ, ონომ ბრინჯის ქისების მასობრივად დამზადება დაიწყო. ასეთივე ტომსიკების შეკვეთა მსურველებს ქორწილისთვისაც შეუძლიათ – სიძე-პატარძალი მშობლებს უგზავნიან ბრინჯით სავსე ქისებს, საკუთარი ბავშვობის ფოტოებით და მადლობას უხდიან მათ.

კორონას ჭიების წამალი ებრძვის

კორონავირუსის საწინააღნდეგო ეფექტური საშუალება შეიძლება აღმოჩნდეს ჭიების საწინააღმდეგო პრეპარატი – ასეთი აღმოჩენა გააკეთეს აშშ-ს სკრიპსის ინსტიტუტის სპეციალისტებმა. ცნობილია, რომ ნივთიერება, რომელსაც სალიცილანიდები – პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატები შეიცავს, წარმატებით ებრძვის გარკვეულ ინფექციებს. ამერიკელმა სწავლულებმა გადაწყვიტეს, ისინი COVID-19-ზე გამოეცადათ, რადგან თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა. მკვლევარები აპირებენ, რომ ცხოველებზე რთული ტესტები ჩაატარონ, ამის შემდეგ კი კლინიკური ცდები დაიწყონ.

ყველაზე უცნაური სერვისები მსოფლიოში

ჯერ კიდევ ეძებთ იდეას სტარტაპისთვის და ვერ აგირჩევიათ, რითი დაკავდეთ? მაშინ, სჯობს, იჩქაროთ, რადგან ბევრი ადამიანი ფულს უცნაური მეთოდებით შოულობს. მაგალითად, არსებობს კომპანია, რომელიც „ჯადოსნური“ ყუთის მიტანის სერვისითაა დაკავებული. დრო, როცა ადამიანმა დაზუსტებით იცოდა, რას ყიდულობდა, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა. ცოტა ხნის წინ, ამოქმედდა საიტი – Somethingstore.com, რომლის საშუალებითაც ყიდულობთ „რაღაცას“, მაგრამ წარმოდგენა არ გაქვთ, რას. ამისათავის, ჯერ საიტზე უნდა დარეგისტრირდეთ და შემდეგ აირჩიოთ, რა თანხის დახარჯვას აპირებთ. თანხის მინიმალური ოდენობა 10 დოლარია. ფირმის წარმომადგენლებს შეკვეთილ მისამართზე მიაქვთ „ჯადოსნური ყუთი“ და მისი მფლობელი მხოლოდ ამის შემდეგ იგებს, რა იყიდა. ზოგჯერ ეს ფაიფურის ქანდაკებაა, ან საათი და სხვა ამდაგვარი, რომელთა საჭიროებაზე არც კი დაფიქრებულან.

ყალბი ურთიერთობების სერვისი – Invisible Boyfriend, სულ რაღაც 25 დოლარად, ნებისმიერ მსურველს ყალბ ურთიერთობებს სთავაზობს. საიტზე ირჩევთ „პატრნიორის“ გარეგნობას, სახელს, ჩვევებს, ინტერესებს და იმასაც კი, როგორ „გაიცანით“ ერთმანეთი. შემდეგ კი იღებთ 100 მესიჯს, 10 ხმოვან შეტყობინებას და ხელით დაწერილ ერთ წერილს, რომელსაც თქვენი, „ვითომ შეყვარებული“ გწერთ. ვის რაში სჭირდება ეს, გაუგებარია, მაგრამ, ფაქტია, რომ სერვისი მუშაობს.

საჭმლის ფასიანი ვიდეოარხი – ზოგიერთ ადამიანს მოსწონს იმის ყურება, როგორ ჭამენ სხვები. ინგლისურ ენაში ამის შესაფერისი სიტყვაც კი დამკვიდრდა – მუკბენგი. სამხრეთკორეელებმა კი სიტყვა საქმედ აქციეს და 2009 წელს, სპეციალური ფასიანი ვიდეოარხი ამოქმედდა. ამ არხზე, შეგიძლიათ, გაუთავებლად უყუროთ, როგორ ჭამენ თქვენთვის სრულიად უცხო ადამიანები კამერის წინ. ვიდრე თქვენ იმაზე დაფიქრდებით, ვისთვისაა ეს პროცესი საინტერესო, არხის ყველაზე პოპულარული გოგონა, პარკ სეო-იონი, თვეში დაახლოებით, 10 ათას დოლარს გამოიმუშავებს.

მასაჟი სილის გაწვნებით – ტაილანდელი მასაჟისტი, ტატა სახის ესთეტიკურ მასაჟს სილის გაწვნებით გთავაზობთ. ამგვარი „სიამოვნების“ ერთი სეანსი 350 დოლარი დაგიჯდებათ, ყოველთვიური აბონემენტი კი 1000 დოლარი ღირს. ამგვარი მასაჟი ნაოჭებს ამცირებს და კანის ელასტიურობას ზრდის – გპირდებათ ტატა. მისი სალონი სან-ფრანცისკოში მდებარეობს, თუმცა სერვისი ხელმისაწვდომია ოსტატის სამშობლოში – ტაილანდშიც. წარმოგიდგენიათ, ვიღაც სახეში გირტყამთ და თან ამაში, მას ფულიც უნდა გადაუხადოთ?!

მობოდიშების სერვისი – ამომავალი მზის ქვეყანაში, ეს სამსახური იმ ადამიანებისთვის მოიგონეს, რომლებსაც ბოდიშის მოხდა უნდათ, მაგრამ საჭირო სიტყვების თქმას ვერ ახერხებენ. შეგიძლიათ, სერვისებს შორის, აირჩიოთ პირადი, სატელეფონო ან ელექტრონული მობოდიშება. შააგენტოს პროფესიონალი წარმომადგენელი შეადგენს მობოდიშების ტექტს და თქვენთან შეათანხმებს. ფასებიც, როგორც ცნობილია, სერვისის სახეობის მიხედვით იცვლება.

დიაგნოზი გაზების მიხედვით – მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო სამსახური, ალბათ, ამ პროფესიის ადამიანებს აქვთ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩინეთში, დიდი პოპულარობით სარგებლობენ პროფესიონალი „დამსუნავები“, რომელთაც მეტეორიზმის შედეგად გამოშვებული გაზების მიხედვით, შეუძლიათ, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარკვევა. მათ wen pishi-ს უწოდებენ. ამ პროფესიის წარმომადგენლებს ხელფასიც საკმაოდ კარგი აქვთ – 50 ათასი დოლარი წელიწადში. ამ ეტაპზე, უცნობია, აუცილებელია თუ არა მათ სამედიცინო განათლებაც ჰქონდეთ, რათა დიაგნოზი დაწერონ, თუმცა ფაქტია, ამგვარი სერვისი პოპულარულია.

ცხენის ექსკრემენტების გაგზავნა – საიტი Shit Express დაგეხმარებათ, გამოხატოთ საკუთარი განცდები სხვადასხვა სიტუაციაში, მაგალითად, თუ შეყვარებული თქვენს მეგობართან გღალატობთ. სულ რაღაც 17 დოლარად შეძლებთ, რომ ცხენის ექსკრემენტებიანი კონტეინერი გაუგზავნოთ ავის მოსურნეებს. სერვისის მფლობელი ამტკიცებს, რომ მისი მომსახურება ძალიან წარმატებულია და უკვე 10 ათასი დოლარის მოგებაც მოუტანა.

ადამიანის მოტაცების სერვისი – ფრანგული კომპანია Ultime Réalité გთავაზობთ ადამიანის მოტაცების სამსახურს, თუმცა აქ მხოლოდ საკუთარი თავის შეკვეთა შეგიძლიათ. სერვისის საფასური 1000 დოლარია და მასში შედის: პირის აკვრა წებოვანი ლენტით, გაკოჭვა და რამდენიმე საათით ოთახში ან ავტოფარეხში ჩაკეტვა. ბიზნესის მფლობელი, ჯორჯ კეკსუსი აცხადებს, რომ კომპანიის შექმნიდან, ისინი დღეში, სულ მცირე, ორ შეკვეთას მაინც ასრულებენ.

ყველაზე პატარა ჩვილი კლინიკიდან გაწერეს

მსოფლიოში ყველაზე პატარა ახალშობილი გოგონა, რომელიც ორსულობის 24-ე კვირას გაჩნდა და მხოლოდ 212 გრამს იწონიდა, სინგაპურის საავადმყოფოდან გაწერეს. იუ სუანიმ კლინიკაში 13 თვე გაატარა. ნაადრევი მშობიარობის მიზეზი გოგონას დედის მაღალი წნევა გახდა, რასაც, შესაძლოა, ორივეს – ბავშვისა და დედის სიკვდილი მოჰყოლოდა. ამიტომ, მედიკოსებმა გარისკეს და ვადაზე 4 თვით ადრე, საკეისრო კვეთა ჩაატარეს. მიუხედავად იმისა, რომ ექიმების პროგნოზი დამაიმედებელი არ იყო, ბავშვი გადარჩა. მისი მკურნალობისთვის, მოხალისებმა, დაახლოებით, 367 ათასი დოლარი შეაგროვეს. გოგონა უკვე 6.3 კილოგრამს იწონის და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

დეტექტივებად ტურისტებს შეარჩევენ

ესპანეთში „დეტექტივების“ ცალკე დანაყოფი შეიქმნება, რომელთაც კუნძულ იბიცაზე, წვეულებების დროს, კარანტინის დამრღვევები უნდა გამოავლინონ. კანდიდატებად განიხილებიან უცხიელი ტურისტები – 30-დან 40 წლამდე. იბიცა ცნობილია თავისი გასართობებით და გამუდმებული წვეულებებით. თუმცა, კორონავირუსის გამო, იქ მკაცრი საკარანტინო შეზრუდვები ამოქმედდა – დაიხურა ღამის კლუბები, სადაც ღონისძიებათა უმრავლესობა იმართებოდა. კუნძულზე დაშვებულია გასვლითი წვეულებები, ოღონდ სტუმრების შეზღუდული რაოდენობითა და დროით. კანონდამრღვევებს დიდი ჯარიმის გადახდა ელით – 600 ათასი ევროს ოდენობით. ზოგჯერ პოლიციას უჭირს დარღვევების აღმოჩენა, რადგან კლუბების ნაცვლად, წვეულებები სახლებში ან ტურისტულ ადგილებში იმართება. ამიტომ, დასახმარებლად ისინი ტურისტებს იწვევენ, რომ ასეთი დარღვევების შესახებ პოლიციას აცნობონ.

დუბაიში „ოქროს ნაყინი“ იყიდება

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში მდებარე კაფეში – Scoopi Café, მსურველებს შეუძლიათ, დააგემოვნონ ყველაზე ძვირადღირებული ნაყინი ოქროთი, რომელსაც „შავი ბრილიანტი“ უწოდეს. მისი ღირებულება 3 ათასი დირჰამია (817 დოლარი). კაფეს შეფ-მზარეული ნაყინს ამზადებს მადაგასკარის ვანილით, ირანული ზაფრანით, იტალიური შავი ტრიუფელით, რომელსაც ზემოდან, საკვებად ვარგისი, 23-კარატიანი ოქროს ბურბუშელა აყრია. კლიენტთან ცივი დესერტი „ვერსაჩეს“ ფაიფურის დახვეწილი ფიალითა და ვერცხლის კოვზით მიაქვთ. სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი თან წაღებაც შეუძლია.

გენმოდიფიცირებული კარტოფილი უფრო სასარგებლოა?

მინესოტას უნივრსიტეტისა და ფრანგული კომპანია Cellectis-ის სწავლულებმა, მცენარეების გენების რედაქტირების ახალი ტექნოლოგია მოიფიქრეს. ახლა ისინი შექმნიან და ბაზარზე გამოუშვებენ კარტოფილის ახალ ჯიშს – Ranger Russet, რომელიც არ შავდება და არ ლპება ყინვაში შენახვის დროს, ასევე, შეწვისას, ნაკლებ კანცეროგენულ აკრილამიდს გამოყოფს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სულ მალე, მოდიფიცირებული კვების პროდუქტების შექმნა არა მხოლოდ მსხვილი სამეცნიერი ინსტიტუტების საქმე იქნება, არამედ, ამით პატარა კერძო კომპანიებიც დაკავდებიან.

რასაკვირველია, მათი ნამუშევარი აუცილებლად სერტიფიცირებული იქნება და უსაფრთხოებაც შემოწმდება. სხვა შემთხვევაში, მათ მიერ გამოყვანილი ხილი და ბოსტნეული ბაზარზე ვერ გავა. აქამდე, მეცნიერები წლობით მუშაობდნენ, რათა ტრადიციული სელექციის მეთოდით, სასურველი თვისებების მქომე მცენარე გამოეყვანათ. მაგალითად, ასეთი კარტოფილისთვის, რომელიც ამერიკელმა გენეტიკოსებმა შექმნეს, სელექციონრებს 10 წელიწადზე ნაკლები არ დასჭირდებოდათ. ახალი კარტოფილის საცდელი პარტიის პირველ მოსავალს უკვე წლის ბოლოს აიღებენ მინესოტაში. თუკი ექსპერიმენტების შედეგად დამტკიცდება, რომ პროდუქტი ინარჩუნებს თვისებებს სიცივეშიც, Ranger Russet-ის ფერმერებისთვის მიწოდებას დაიწყებენ.

გვიანი მშობიარობა სიმსივნისგან იცავს

მანდილოსნები, რომელთაც შვილის ყოლა გვიან გადაწყვიტეს და ბავშვი 33-37 წლის ასაკში, ბუნებრივი გზით გააჩინეს, ორჯერ ზრდიან ალბათობას, რათა დიდხანს იცოცხლონ. ასეთი ინფორმაცია ცოტა ხნის წინ, ამერიკელმა სწავლულებმა გაავრცელეს. გვიან ასაკში დედობამ, შესაძლოა, გარკვეული ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს, მაგრამ მას ბევრი პოზიტივიც ახლავს. ამის დამტკიცება ამერიკელმა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს და სპეციალური გამოკვლევაც ჩაატარეს. მასში აშშ-სა და დანიის მცხოვრები, 5 ათასი მანდილოსანი მონაწილეობდა. კვლევის პროცესში გაირკვა, რომ იმ ქალბატონებს, რომელთაც 33-37 წლის ასაკში გააჩინეს შვილები, ორჯერ მეტი შანსი ჰქონდათ, უფრო დღეგრძელები ყოფილიყვნენ.

დღესდღეობით, მეცნიერები ვერ აანალიზებენ ამ კანონზომიერებას. მათი მოსაზრებით, იმ ქალებს, რომელთაც გვიან ასაკში გადაწყვიტეს და შეძლეს შვილის ყოლა, უფრო კარგი ჯანმრთელობა აქვთ, ვიდრე მათ სხვა თანატოლებს, რომლებმაც დაფეხმძიმება ვერ მოახერხეს. სამხრეთ კალიფორნიელი სწავლულები კი აცხადებენ, რომ მანდილოსნებს, რომლებიც 30 წლის მერე გახდნენ დედები, შვილის გაჩენა ონკოლოგიური დაავადებებისგან იცავს. გვიანი მშობიარობის წყალობით, მათ თავიდან აირიდეს ესტროგენზე დამოკიდებული კიბოს განვითარება, ასევე, თავს იცავენ უფრო იშვიათი და აგრესიული ონკოლოგიური დაავადებებისგან, რომლებიც ჰორმონებზე დამოკიდებულნი არ არიან.

ვისთვისაა სასარგებლო პიტნის ჩაი?

ცნობილია, რომ პიტნით მომზადებულ ჩაის შეუძლია ტვინის მოქმედება გააააქტიუროს. ამ მცენარის სურნელოვანი სასმელი თითქმის არავისთვისაა აკრძალული, გარდა პატარებისა, რომლებსაც ზედმეტად კონცენტრირებული ნაყენი არ უნდა მივცეთ, მასში მენთოლის მაღალი შემცველობის გამო. ოფოციალურ და ხალხურ მედიცინაში, პიტნას ფართოდ იყენებენ. მისი ნაყენი შეგვიძლია მივიღოთ, როგორც დამამშვიდებელი საშუალება, ასევე, მხედველობის პრობლემების გაჩენისას; ტემპერატურის დასაკლებად; კუჭ-ნაწლავის დაავადებების შემთხვევაში. პიტნის სასარგებლო თვისებებზე ადრეც ბევრი დაწერილა. მის ეთერზეთში დიდი რადენობით მენთოლია, რომელიც ანტისეპტიკურ, გამაყუჩებელ, ოფლმდენ საშუალებას წარმოადგენს.

პიტნის სასმელის საშუალებით, შეგვიძლია, მოვიხსნათ დაძაბულობა, მომატებული მეტეომგრძნობელობა, ავამაღლოთ ორგანიზმის შეწინააღმდგების ხარისხი. ცნობილია, რომ ძველ რომში, პიტნის წყალს აპკურებდნენ ხოლმე შენობებს, საკმაოდ ხშირად, იმავე პერიოდში, სადილის წინ, მაგიდებს ახალი პიტნით წმენდნენ ხოლმე. მიიჩნევდნენ, რომ პიტნის არომატი სასიხარულო განწყობას ქმნიდა. შუა საუკუნეებში, სტუდენტები ხშირად ატარებდნენ თან პიტნისგან დაწნულ გვირგვინებს, რადგან არსებობდა მოსაზრება, რომ ამ მცენარის სურნელი ტვინის მუშაობას ააქტიურებდა.

ლოცვით განკურნება მეცნიერულად დამტკიცებულია

მედიკოსების მტკიცებით, ლოცვისა და მედიტაციის ძალა განუზომელია. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სისტემატური ლოცვა ტვინის იმ უჯრედებს ააქტიურებს, რომლებიც უამრავი, მძიმე დაავადების დამარცხებას უწყობენ ხელს და ტვინის სტიმულირებას ახდენენ. კვლევაში ის ხანდაზმული ადამიანები მონაწილეობდნენ, რომელთაც მეხსიერების პრობლემები ჰქონდათ. ჯეფერსონის უნივერსიტეტის პროფესორი, ენდრიუ ნიუბერგი მათ 8 კვირის განმავლობაში, დღეში 12 წუთით, ლოცვის პროცესში აკვირდებოდა. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და მეცნიერს დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა - ნიუბერგის მტკიცებით, ტვინს სტრუქტურული ცვლილების უნარი აქვს, რაც ადასტურებს, რომ ყველა დაავადების განკურნება შესაძლებელია. კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც ფლორიდაში, სიმსივნის კვლევით ცენტრში ჩატარდა, სწავლულებმა დაადგინეს, რომ კვლევაში მონაწილე 40 ათასი პაციენტიდან, განსაკუთრებით მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, რომლებიც რეგულარულად ლოცულობდნენ.

ყავის ჭიქები საკვებად ვარგისი იქნება

ახალი ზელანდიის ნაციონალურ ავიაკომპანიაში - Air New Zealand, საკვებად ვარგის ყავის ჭიქებს ცდიან, რომელსაც ავიარეისების მგზავრებს შესთავაზებენ. სიახლის მიზანი ნარჩენების შემცირებაა, რომელიც ფრენის შემდეგ, ნაგავში იყრება. ჭიქები ადგილობრივმა კომპანიამ ბისკოტისგან (იტალიური ფხვიერი ორცხობილა) დაამზადა და მას ვანილის გემო აქვს. ინოვაციურ ჭურჭელს ცდიან, როგორც ცაში, ასევე, მიწაზეც. მგზავრები, რომელთაც ეს ჭიქები უკვე გასინჯეს, კმაყოფილება ვერ დამალეს. ავიაკომპანია აპირებს, ასეთივე ჭურჭელი შემოიღოს დესერტებისთვისაც. ავიაკომპანია მგზავრებს, წლის განმავლობაში, მთლიანობაში, 8 მილიონზე მეტ ჭიქა ყავას სთავაზობს.

პლასტმასის ალტერნატივა თევზის ნარჩენებისგან

23 წლის ბრიტანელმა ლუსი ჰიუზმა, თევზის ნარჩენებისგან ცელოფნის ალტერნატივა შექმნა - მან თევზის ქერცლი და კანი გამოიყენა, ასევე, წითელი წყალმცენარეები და ბიოხრწნადი პლასტმასი მიიღო. ის ისეთივე მტკიცე და მოქნილია, როგორც ცელოფანი. რა საჭიროა ასობით ხელოვნური პოლიმერი, როცა ბუნებაში, ყველაფერი ეს, უკვე არსებობს? - აცხადებს გამომგონებელი. ლუსიმ საკუთარ ქმნილებას MarinaTex უწოდა. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ პლასტმასის სხვადასხვა სახეობისგან განსხვავებით, ის ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, სულ რაღაც 4-6 კვირაში იხრწნება. ასე რომ, მისი უტილიზაცია შესაძლებელია კომპოსტში, სახლის პირობებშიც კი. ასეთი ბიოპლასტიკის შექმნის იდეა ჰიუზს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც თევზის ქარხანაში, უამრავი გადაყრილი ნარჩენი ნახა. სამეცნიერო ექსპერიმენტებს ლუსი სამზარეულოში ატარებდა. მისი თქმით, ერთი საშუალო ზომის თევზისგან, 1400 პაკეტის დამზადება შეიძლება.

ყურიდან წყლის გადმოფერთხვა საშიშია

სწავლულები ამტკიცებენ, რომ დაჩქარების ძალებმა, რომელიც ყურიდან წყლის გამოფერთხვას უკავშირდება, შესაძლოა, ბავშვის ტვინი დააზიანოს. როდესაც ბანაობისას ან შხაპის დროს, ყურში წყალი ჩადის, ყველა მაშინვე ცდილობს მის გამოფერთხვას, ზოგჯერ ცალ ფეხზე ხტუნვითაც კი. თითქოსდა, ეს ჩვეულებრივი რიტუალია, მაგრამ კორნელის უნივერსიტეტის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ეს ჩვენს ჯანმრთელობას სერიოზულ რისკქვეშ აყენებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს ექმნებათ საფრთხე. ექსპერიმენტებისას, სწავლულებმა გაარკვიეს, რომ კრიტიკული დაჩქარება, რომელიც თავის ქნევის დროს იქმნება, დაახლოებით, 10-ჯერ აღემატება სიმძიმის ძალას პატარა ბავშვის ყურის ზომასთან მიმართებაში, ამან კი, შესაძლოა, ტვინის დაზიანება გამოიწვიოს.

გენეტიკური მუტაცია მეხსიერებას აუმჯობესებს

კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც მეხსიერების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მკვლევართა აზრით, ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს ახალი პრეპარატების შექმნას, რომელიც ალცჰაიმერისა და სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობას გააადვილებს. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მღრღნელები, რომელთაც eIF2a-გენის (ის პროტეინის სინთეზის კოდირებას ახდენს) დეფექტური ვერსია ჰქონდათ, უკეთესად ასრულებდნენ დავალებებს. კერძოდ, აუზში გაშვებული მუტანტი-თაგვები უფრო ადვილად პოულობდნენ წყალქვეშ მცირე პლატფორმას და ფეხზე დგებოდნენ.

მკვლევარების თქმით, მუტანტი გენის მქონე მღრღნელები თანამოძმეებისაგან ისევე გამოირჩეოდნენ, როგორც პიროვნება, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, ტექსტის ერთი წაკითხვით შეუძლია მისი დაზეპირება. იმის დასამტკიცებლად, რომ თაგვების უჩვეულო უნარი, სწორედ მუტაციურ გენს – eIF2a-ს უკავშირდება, მეცნიერებმა ცხოველების ორგანიზმში ხელოვნურად გაზარდეს ამ პროტეინის დონე, რის შემდეგაც მათ აშკარად გამოუვლინდათ მეხსიერების დარღვევის ნიშნები. კანადელი სწავლულების მოსაზრებით, პრეპარატებმა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ცილა eIF2a-ს ბლოკირებას გამოიწვევენ, შესაძლოა, დიდი დახმარება გაუწიონ ავადმყოფებს, რომლებიც მეხსიერების დაკარგვით იტანჯებიან.

ქმრის ცხედარს წლობით ინახავდა

აშშ-ში, იუტას შტატის ქალაქ ტუელში, სამართალდამცველებმა, 75 წლის ჟანა სუორონ-მარტესი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. პოლიციამ მარტოხელა ქალის ბინის დათვალიერების შედეგად, მის მაცივარში მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინა, რომელიც, როგორც გაირკვა, ჟანას მეუღლე იყო. სამართალდამცველებმა გარდაცვლილის მეზობლები გამოკითხეს. მათი თქმით, მოხუცი ქალბატონის მეუღლე წლებია, თვალით არ უნახავთ. ცხედრის ექსპერტიზამ კი აჩვენა, რომ მამაკაცი, დაახლოებით, 11 წლის წინ გარდაიცვალა და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჟანა მას მაცივარში ინახავდა.

ფერმერები მოცურავე კუნძულებს აშენებენ

მექსიკაში, ბოსტნეულის მოსაყვანად უჩვეულო მეთოდს იყენებენ. ამა თუ იმ მცენარეს ფერმერები თევზების დახმარებით ზრდიან. ისინი წყლიან სივრცეში თევზებს ათავსებენ, ზემოდან კი ბოსტნეულს რგავენ ისე, რომ მცენარის ფესვები წყალში მოხვდეს. საჭირო საკვებ ნივთიერებებს მცენარე წყლიდან, თევზების ნარჩენებისგან იღებს. შორეულ წარსულში, სწორედ ამ მეთოდს იყენებდნენ მაიასა და აცტეკების ტომები მეურნეობის განვითარებისთვის. მათ სისტემას „ჩინამპები“ ერქვა, რაც „მოცურავე კუნძულს“ ნიშნავს. თანამედროვე ეპოქაში, ეს მეთოდი კიდევ უფრო დახვეწეს მექსიკელმა ფერმერებმა და მას „აკვაფონიკას“ უწოდებენ. ამ მეთოდის დროს, მათ აღარ სჭირდებათ პესტიციდების გამოყენება მოსავლის მოსაყვანად და წყალიც იზოგება. ეს მეთოდი საშუალებას გაძლევთ, ბოსტნეული და თევზი ერთდროულად აწარმოოთ.

უქმეებზე სიკვდილი აკრძალეს

საფრანგეთში მდებარე კომუნა გრელის მცხოვრებლებს უქმეებსა და დღესასწაულებზე სიკვდილი აუკრძალეს – ამის თაობაზე ფრანგული მედია წერს. მათი ინფორმაციით, შესაბამის განკარგულებას ხელი კომუნის მერმა მოაწერა. ასეთი გადაწყვეტილება კი მას შემდეგ მიიღო, რაც რამდენიმე დღის წინ, სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები გარდაიცვალა და სიკვდილის დასადასტურებლად სპეციალისტი ვერ იპოვეს. მკურნალ ექიმს დასვენების დღე ჰქონდა, სასწრაფო დახმარება კი სხვა კომუნის დაქვემდებარებაშია, სადაც ექიმების დეფიციტია. კომუნის მერმა, საკუთარი გადაწყვეტილებით, სწორედ ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.